

2003
N1

ქ ა ნ თ უ ლ ი



ნანიშა

1309
2003



გზა სავსეა
მოულოდნელობებით
გულნარა ბასტაძე

დღიუხები
ეგზარ კვიციანიშვილი

30 სექტემბერი, დედა
ჯანსუღ ჩარკვიანი

დესი და ჰანტე
სიალა არღაშელია

ფიქლები ღიბეჩატუხასა
და ზიდევ სხვაზე...

გურამ ბენაშვილი

ქაღი თანამედროვე სამყაროში
თამარ სინცაძე

2003
N1



სარჩევი:

ჯანსუღ ჩახვიანი 2
30 სექტემბერი, დღეს

ემზახ ჯვითაიშვილი 4
დღიურები

გენიახა ბახტაძე 8
გზა სავსეა მოულოდნელობებით

სიდა ახდაშვილი 14
დესი და პანტი

ფოტო სტუმარი 16
**მეღაა ჩახავა, მამა მახარაძე,
ნათო მურვანიძე, ეკა ჩხეიძე**

თამაჰ ცინცაძე 18
ქალი თანამედროვე სამყაროში

მეჩაბ ახამიშვილი 22
პირენისაჟი

იხმა შიოლაშვილი 24
ლექსები

ნუნუ ჯუჰეიშვილი 26
საუბარი გუჰამ ბუნაშვილთან 26
**ფიქრები ლიტერატურასა
და კიდევ სხვაზე...**



2



8



4



14



16



24



26



22



18



ჯანსუკი საჩუკიანი

30 სექტემბერი, დედა

საშინელი ღამე იყო, კაცმა რომ თქვას, არც კი მძინებია. ტალახიან წყალს თეთრი ცხენი მოარღვევდა მკერდით, კრი-ალა ციდან მსხვილად წვიმდა და წვიმაში საწყალი დედაჩემი მოდიოდა. ისევ ისეთი დაღლილი და ისევ ისეთი მშვენიერი, ცხენს რალაც შეუძახა და წამსვე გაქრა ცხენიცა და ტალახიანი წყალიც. იმ ადგილზე წალკოტი გაიშალა, წალკოტში, ათასი ჟოლო და ათასი ატამი ყვაოდა, ათასი ალუბალი, ასკილი და ბრონეული.

მინას მოჰფენოდა თეთრყვითელი გვირილა და გვირილებში დახტოდნენ ყვითელგულა ჩიტები. საწყალი დედაჩემი შორს დადგა, ბრონეულის გაჩახჩახებულ ხესთან და იქიდან მილიმოდა. მერე დაღონდა და მოინყინა, „ყველაფერი სისულელეაო“, თქვა და ხელი ჩაიქნია, გაქრა, თვალსაწიერიდან გაქრა. ასე მხოლოდ კინოებში მინახავს ხოლმე, აი, დასალიერისკენ რომ მიდიან, პატარავდებიან და ეჭვე, სადღაც, ძალიან შორს, წერტილივით ქრებიან ხოლმე...

მერე წამთვლიმა, წამთვლიმა და ახლა ხელახლა მოვინდომე, ძალით მოვინდომე დამსიზმრებოდა საწყალი დედაჩემი, მაგრამ ამაოდ, არაფერი ქვეყნად არ მეორდება. როგორ მითხრა საწყალმა დედაჩემმა?! - „ყველაფერი სისულელეაო“, არა საოცარია, ასე სიცოცხლეში არასოდეს უთქვამს, პირიქით, სულ იმას გვეჩიჩინებოდა, ტყუილი არ დაგცდეთო, პატიოსნად იცხოვრეთო, ერთმანეთი გიყვარდეთო, საწყალს ხელი გაუწოდეთ და ხეიბარს არ დასცინოთო. საყვედურების თქმა მაშინაც უყვარდა: - უგულისყურო და უყურადღებონი ხართ, მეტისმეტად თავშეკავებულნი ხართო, შვილები გადაგიხდითო, მაგრამ, ასე ხელი ჩაექნოს და ეთქვას: „ყველაფერი სისულელეაო“, არასოდეს გამიგია.

ძალიან მინდოდა იმ წალკოტში კიდევ დამელანდა ჩემი საწყალი დედა, მაგრამ ამაოდ...

თვალი კი მქონდა მილულული, მაგრამ რული აღარ მომეკარა, თეთრად გავათენე.

დილით კი დედაჩემმა ატეხა ერთი ვაი და ვიში:

- ადექით, ადექით, გეყოთ განცხრომა და ნეტარება, ადექით, დაგავინყდათ დღეს რომ ოცდაათი სექტემბერია? - მეთექვსმეტე კვირაა სულიწმინდის გარდამოსვლიდანო. რა ხალხია, გენაცვალეთ, რა ხალხი, თუ რამე სასწაული მოხდა, დაემთხვაო, ყველაფერი ერთმანეთს როგორ ემთხვევა? მაშ, თქვენ რომ სამივე ერთ დღეს, ოცდაათ სექტემბერს ხართ დაბადებულები, დაემთხვა ერთმანეთს, თუ მამათქვენი მყავს დიდი ასტრონომ-მათემატიკოსი და იმან გამოიანგარიშა დამთხვევის დღეები? იქნებ, ისიც დამთხვევაა, საეკლესიო კალენდრით, რომ 30 სექტემბერი დედათქვენის დღეა? ისიც დაემთხვა, რომ საწყალმა დედათქვენმა სწორედ თავის დღეს გააჩინა სამივე შვილი? იქნებ, ისიც, რომ ოცდაათი სექტემბერი ალათის დღეა? ალათი თუ იცით, ვინ იყო, ვინ და ბებია-ქალი, ვინც საწყალი დედათქვენი ამშობიარა სამივეჯერ. კაი ბატონო, ყველაფერი დამთხვევაა, მაგრამ საწყალი ჩემი და რომ ოცდაათ სექტემბერს წავიდა ჩვენგან, ისიც დამთხვევაა? თუ ასეა, კეთილი და პატიოსანი, მაშინ ამქვეყნად მარტო დამთხვევა ყოფილა და სხვა აღარაფერი... ადექით, ადექით, ნულარ ნებივრობთ, ადექით, საქმეს მივხედოთ, საფლავზე უნდა გავიდეთ.

თითქმის ერთბაშად გავიღვიძეთ, ეს დეიდას თვალში, თორემ მე რა გავიძებნა მჭირდებოდა, არ მძინებია, იქნებ არც ჩემს და-ძმას სძინებია, არ ვიცი, მამა უკვე ფეხზე იყო, მამას არ დავინყნია ოცდაათი სექტემბერი, არც ჩვენი და არც საწყალი დედაჩემის, მამას ყველაფერი ახსოვდა, მაგრამ ჩუმად იყო, აი ისე, როგორც დიდი მწუხარების დროს არიან ხოლმე ნამდვილი მამაკაცები...

დეიდას სახლი მოერთო ხის მწვანე ტოტებითა და მინდვრის ნაირ-ნაირი ყვავილებით, ბიბინა ხავსითა და ხასხასა ბალახით იყო მორთული იატაკიც, ორი თაიგული შეეკრა, ორთავეში ანთებული სანთლები ჩაესვა, დღეს ასე უნდაო, ამბობდა.

მე ჩემი სახლი ასე მორთული პირველად ვნახე. დეიდა გვარწმუნებდა, რომ ნამდვილად ასე უნდაო: ანთებული სანთელი მოგვაგონებს სულიწმინდის გარდამოსვლას, ხოლო ყვავილები და მწვანე ტოტები მოგვაგონებს იმ განმაცხოვრებელ ნიჭს, რომელსაც მივიღებთ სულიწმინდის გადმოსვლითო.

ეს რა თავგამოდებული მორწმუნე დეიდა გვყოლიაო, თქვა ჩემმა ძმამ და სასწრაფოდ ჩაიცვა. ჩემმა დამაც დაუჩქარა, რაც კი შეეძლო დაუჩქარა, მაგრამ მაინც დააგვიანა.

ათი საათისთვის ყველანი მზად ვიყავით, მეც, ჩემი ძმაც, ჩემი დაც, მამაჩემიც და დედაჩემიც.

წავედით, ნახევარ საათში საწყალი დედაჩემის საფლავზე გავჩნდით, ტირიფების ქვეშ. იქ, დედას მეგობარი, ქალბატონი ქეთევანი დაგვხვდა, ქეთევან ყიფიანი, საფლავზე გვირილები მოეტანა, დიდი, მზესუმზირის ყვავილივით დიდი გვირილები. საწყალ დედაჩემს ძალიან უყვარდა გვირილები... ჩვენი ორი თაიგული, სანთლებიანი თაიგულიც გულთან დაუნყო დეიდამ საწყალ დედაჩემს, სანთლებიც დაუნთო და თაიგულის სურნელით გაბრუნდა იქაურობა...

უცებ გუნება გამომისწორდა, რატომ, არც ახლა ვიცი...


- სათნო და მაღალი ზნეობის ქალი იყო, შვილო, დედაშენი, - მითხრა ქალბატონმა ქეთევანმა...

ჩვენ ვიდექით საწყალი დედაჩემის საფლავთან. საფლავის ქვაზე ლამაზი ქართული ასოებით იყო ამოკვეთილი: „ჩვენ ყოველნი შენდა მოვილტვით“.

მე წუხანდელი ღამე ლოდივით მანვა გულზე - როგორ მითხრა საწყალმა დედაჩემმა?! „ყველაფერი სისულელეაო“.

- ნუთუ, მართლა ასეა, ნუთუ, ყველაფერი სისულელეა?

საქართველოს
გარემოსდაცვითი
აგენტობის
ბიზნეს-ინფორმაცია



ემზარ კვიციანიშვილი

ღარიბები

(ბაბრძილა)

15.11.91. როგორღაც შემაკრთობს, ფიქრს გამაწყვეტინებს ხოლმე მაცივრის ძრავის წამიერი წაბორძიკება, უეცარი გამორთვა. გულის გაჩერებას გავს. ეს უფრო ღამღამობით არის საგრძნობი და ამ დროს შთაბეჭდილება, შემოქმედებაც მეტია.

ცოტა სხვაგვარად ჩერდება ელემენტზე მომუშავე სამზარეულოს მრგვალი კედლის საათი. ერთ დღეს დააკვირდები და ხედავ, ისარი აღარ იძვრის, თანდათანობით გაჩერებულია, ცალი, დიდი, ფრთა ჩამოვარდნია. მიხვდები, რომ ზურგს უკან მავთულით ჩაწნული ციციქნა ბატარეა უსარგებლო გამხდარა, ელემენტი (მყავა) გათავებულია, გამოლეულა, ალბათ, ტვინსაც იგივე მოსდის, სხვა რამეებსაც.


დღეს ზემელთან ამოვიარე (როდის აღარ მიწვევს იქ გამოვლა). ესეც თავისებური ბედნიერებაა, დასაფასებელი). ფილაქანზე, ჭადრის ხესთან, ჩაღრმავებულ ალაგას, ნაცრისფერი პეპელა, მოზრდილი ფარვანა ეგდო, გულაღმა ამობრუნებული ფართხალებდა. სულთმობრძაც აქეთ-იქეთ დააქანებდა სიცოცხლის მისუსტებული ძრავა, თუმცა გონება, ალბათ, გამოთიშული ჰქონდა (გონიერება იმისი კი არა, ჩემიც საეჭვოა).

ამ ძაგძაგსა და ფხოკიალში პეპელა პაპიროსის ცარიელ კოლოფს შეეფარა, ინსტინქტურად შიგ შეძვრა. მეშინოდა, ვინმეს ფეხი არ დაედგა მსუქან მუცელზე, არ გაესრისა. ეს იყო ზუსტად პანტომიმის თეატრის წინ (ის პეპელაც უხმოდ, მსახიობურად მოძრაობდა). ცოტა ხანს ვიდექი და წამოვედი. რა უნდა მექნა, განწირული იყო, სულერთია, მანც ვერ გადავარჩენდი. რატომღაც ძალიან მაწუხებს უმწეო არსებებისა და, მათ შორის, მწერების ბედი. ამ მხრივ ინდოელების მიმდევარი ვარ. ისინი ხომ მწერების დახოცვას ადამიანის მოკვლასთან ათანაბრებენ. ბუზი, აბეზრობისა და სიბინძურის გამო მეზიზღება და იოლადაც ვიმეტებ. პეპლებზე მრავალი ლექსი მაქვს დაწერილი. ვფიქრობ, ყველაფერი თავს რომ მოიყრის, საბოლოოდ წიგნადაც შეიკვრება. ვერ ვიტყვი, როგორი გამოვა.

14.07.2000. მონტენის უკიდურესი გულახდილობა ერთი მისი დიდი მცოდნის და მოკირკიტის მიერ მონათლულია, როგორც „განგების დაუდევრობა“. ეს, რა თქმა უნდა, არ ითქმის ამ გენიალური მოაზროვნისა და ესეისტის წერის მანერაზე, მის მიერ მასალის უებრო შერჩევასა და ოსტატურად, ამავე დროს თემატურად დალაგებაზე, რაც დაკვირვების განსაკუთრებულმა უნარმა და ანტიკური სამყაროს კოლოსალურმა ცოდნამ შეაძლებინა. დიდ პიროვნებათაგან ბევრი რამ შეიძლება ისწავლოს კაცმა.

პირადად მე დაუდევრობას ათას რამეში ვიჩენ (ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა, ოჯახის საჭიროებაზე ზრუნვა, სამომავლოდ რაიმეს მომარაგება), მაგრამ როცა საქმე წერაზე მიდგება, რამდენადაც ძალიან, ტყავს ვიძრობ. ეს ყოველთვის ვერ აისახება და გამოჩნდება ჩემს რეველებში - მეტწილად ცალკე ფურცლებზე ვამუშავებ რაღაც-რაღაცებს და მერე გადავწერ ხოლმე, თუმცა იქაც მიწვევს ზოგი რამის წაშლა და გადაკეთება. სხეულით ვგრძნობ (სხვა მხრივაც ვსინჯავ, ვამოწმებ), რომელი სიტყვა არაა თავის ადგილას და ძალიან მიხარია, უფრო ზუსტსა და უღერადს თუ მივაგენი. ამას, ჩვეულებრივ, დრო სჭირდება და, ამდენად, არ უნდა იქნარო დაწერილის გამოქვეყნება. ლიტერატურაში ბევრი შემთხვევაა მოხმობილი იმისა, როცა შემოქმედის გონებაში წლების მერე იბადება საძიებელი მარჯვე სიტყვა ან სტრიქონი.

ერთ რამეზე კი მეთანადრება გული - ლექსიკაზე იმდენი არ მიმუშავნია, რამდენიც საჭირო იყო. ყოველთვის მაკლდა სისტემა, წესრიგი, დავდომის უნარი, თუმცა ჩემი აწეწილი, არეულ-



დარეული ცხოვრება (სათავე ათას უბედურებისა თა-
ვად ჩემშია) ვის არ აუბნევდა თავგზას. ყველაზე
მეტად ის მაღიზიანებს, რომ უშნი ფოთილში (მეო-
რქარიისხვანი რამების კეთება, სხვათა გაუთავებელი
დახმარება, ზედმეტი ხათრიანობა და მისთანანი) დროის
უმეტესი ნაწილი შემომეფლანგა და მთავარი რაღა-
ცები დასაწერი დამრჩა. სმირად, არცთუ. უსაფუძვ-
ლოდ დაეჭვებული ვეკითხები თავს: ექნება კი აზრი
შემდგომ წვალუბას? ჭირდება კი ვინმეს ჩემი ნაჯახ-
ირალი? ამას რომ ვამბობ, ნამდვილად გულახდილი
ვარ, ან კი, რატომ უნდა ვფარისევლობდე. ჩემი ამბავი
რომ ვიცი, ვერც თანდაყოლილ დაუდევრობას შევეშვე-
ბი (კაი დროსია?), მაგრამ იმას კი ვიტყვი - არც ის
იქნება წინასწარ განზრახული, დაგეგმილი. ერთი ოც-
ნება კი მილიტინებს გულში - რაც გამიკეთებია,
ნამდვილად მინდოდა, შეუცდომლად შერჩეული, გამო-
საცემად დალაგებული მენახა (გამომცემლის პოვნა,
ცხადია, ცალკეა საოცნებო). სხვისი რომ იყოს ეს
პარტახად დაყრილი მასალა, მაშინ უფრო დაფუძლები
გულს და, ალბათ, თავსაც მოვაბამდი.

06.08.2000. ეს ცხადია, ზაფხულობით ხდება.
შუალამისას, როცა მელიძობა და სინათლეს ვანთებ,
ჩემს მაგიდაზე მაშინვე გაჩნდებიან პაწაწა მფრინავი
მწერები. მათი ცქერა ჩემი ერთ-ერთი საამო გასარ-
თობია, არ მბეზრდება. კოლოს, სისხლისმწოველს, კი
ვიმეტებ ხოლმე მოსაკლავად; ამათ ყოველნაირად ვუ-
ფრთხილდები, რაიმეთი რომ არ დაზიანდნენ. ახლაც
ერთი ასეთი უმცირესი არსება სწრაფად დაცოცავს
ჩემს თვალწინ. თავი, რომლითაც, ალბათ, კიდევაც
აზროვნებს (მისებურად, რაღა თქმა უნდა), შავი მელნით
დასმულ წერტილს მიუგავს. ბოლოსკენ, სადაც მიკ-
როსკოპული, გამჭვირვალე ფრთები ერთდება, კუდთან,
მეორე, კიდევ უფრო პატარა შავი წერტილი უჩანს.
გამადიდებლითაც დავაკვირდი - წინა ორი ფეხი, უკა-
ნა ორთან შედარებით (ერთი წყვილი იქნებ მუცლის
ქვეშაც ჰქონდეს შემალული), გრძელი და მოქნილი,
დრეკადი აქვს. თავზე ანტენებით ადგას (პეპელას
მსგავსად) ორი, გვიძრის რტოსავით მომრგვალებული
საცეცი; ალბათ, რაღაცაში ჭირდება, ისე არ გამოუსხმე-
ბოდა (ლეონარდო გვასწავლის - ბუნება ზედმეტს
არაფერს აკეთებს). უკანა, მოკლე, უწვრილეს ფეხებს
დროდადრო ერთმანეთს უსვამს, ასარსალებს, ისე ცახ-
ცახებს, როგორც წამთა ისარი ელექტროსაათზე. ნამ-
ცეცა თავი შუქზე უბრწყინავს; ზედ მობმული, წაგრ-
ძელებული, კუდად ქცეული მუცელი ბოლოში აზნე-
ქილია (ნეტავი თუ ჭამს რამეს?). იოლი დასანახია:
წყვეტილ-წყვეტილად და სწრაფად ინაცვლებს ადგ-
ილს. ეს ფრენა არცაა, თითო გოჯზე დახტის წინ და
უკან. სასწაულია, აბა, რა ჰქვია ამის გაჩენას, როცა
წარმოიდგენ, რომ ხმელეთზე სპილო დაბოტებს, ოკანე-
ში კი - ვეშაპი დაცურავს... ამ საცოდავს დიდი-დიდი,
რამდენიმე საათის სიცოცხლე ექნება მიცემული. წარ-
მოუდგენელი სისწრაფით კვდებიან. მოშორებით, ამავე
მაგიდაზე, მისი თვისტომები დახოცილები დაყრილან,
სხვადასხვა პოზებში, ზღაპრულად დაპატარავებულ,
ჩამოყრილ ვერტმფრენებს გვანან. რამდენიმე ცოცხა-
ლი უეცრად მიემატა იმ ერთს, ერთად ფეთქავენ,
ალბათ, ესმით ერთმანეთისა. ზოგი წრიულად ტრი-

ალებს, მარულაზე გამოსული გვეგონება. კვლავ და
კვლავ მიკვირს, ისეთი, ძაფებით წვრილი კიდურები
აქვთ, ცაცები შეიძლება დაუძახო. ასეთივე ციცქნა
მწერები სხვანაირებიც ბევრი მინახავს. ერთი სახეობა,
უფრო ტანმოკლე და კოხტა, მეტისმეტად ლამაზია
და ოქროსფერი, თავლის საგრძნობლად დაპატარავე-
ბული წვეთი გვეგონება, რომ არ დახტოდეს. დალაგე-
ბული და აწყობილი რომ მქონდეს ცხოვრება, შემი-
ძლია დღე და ღამე ამათ ცოცვას და ნახტომისნაირ
ფრენას ვუცქირო, მაგრამ ვინ გაცლის ამდენს, სულს
ამოგაცლიან. მე მგონია, დიდად სანანებელი არ მექნე-
ბოდა, ენტომოლოგი რომ გამოვსულიყავი... დილისთვის
ყველანი დახოცილ-გაფრჩხულები იქნებიან ეს საცო-
დავები და სულის შებერვაც იკმარებს, რომ მაგიდ-
იდან გადაიხვეტონ, მტვერივით განქარდნენ. ამანაც
შეიძლება რაღაცაზე დააფიქროს ადამიანი.

ვისაც ვინ ერევა...

18.08.89. (კეჩხოზი). სანატორიუმის სანახევროდ გავ-
ელურებულ ეზოში ვილაცის შინაური ქათმები იკნკე-
ზიან. ორი მამალიც ურევიათ. ერთი, ღეზებდამებუ-
ლი, მძიმედ დადის მიწაზე, ჩასუქებულია. ამ დილით
ბოროტად გამოენტო პაწია ვარიას. ძლივას გაასწრო
საწყალმა, უეჭველ სიკვდილს გადაურჩა. დაყვავილე-
ბულ ჟვერში მიიმალა. მამალმა აღარ შესდია, თავი
არ დაიმცირა. ცოტა ხნის მერე ვარია გამოვიდა
საფარიდან, კენკვა დაიწყო. ახლა სხვა სურათი გადა-
იშალა. გულგანთქილი შეეყურებდი - იქვე, ველურ
ყვავილზე ულამაზესი პეპელა ფეთქავდა, ზაფრანის-
ფერი პერანგი მოუჩანდა სუნთქვისას. ეს მაიმუნი წი-
წილა ახტა და კინაღამ ნისკარტში მოიქცია. ძლივს
გადაურჩა დაფეთებული პეპელა - ვერ შესწვდა თუ
ვერ მოზომა წიწილამ ნახტომი. პეპელა ფაცხა-ფუცხ-
ით ტყემლის ხის უკან გადაიკარგა. ჩანს (მე მგონი
ასეცაა), იმსაც აქვს თავის გადარჩენის ინსტინქტი.
წიწილამ გულგრილად განაგრძო ნამცეცების ძებნა.
პეპელა მაშინვე დააიწყა. ეტყობა, ამ დაწყვეტილ,
უბედურ ქვეყანაზე ყველაფერი მართლაც მორევანა.
მამალიც და წიწილაც ამჯერად და ცალ-ცალკე გაწ-
ბილებულიები დარჩნენ. პეპელა არავის ერჩის, წიწის
გაშლილ ყვავილს, რომელიც ისედაც უნდა დაჭკნეს
მზეზე. ცისქვეშეთში ერთ-ერთი ყველაზე უცოდველი
არსებაა. ასე ვფიქრობ, არა მგონია, ვცდებოდე.

22.08.92. თავიდან იწყება ყველაფერი. ისევ ავვის-
ტოს მიწურულია. რესპუბლიკის მოედანზე, ოთხკუთხა
შადრევის გასწვრივ, ტროტუარსა და ქვაფენილზე,
ყრია მომცრო, ყვითელი, შავკაობებიანი ღამის პულებ-
ბი, სოფლად თავ-ყელზე შემოფეთება და კანის და-
შუშნვა რომ იციან. აქ, თუჯის მაღალ, ტანშევერცხ-
ლილ ბოძებზე შესკუებულნი, ცისკენ კუნწულუბად
აშვერილი რძისფერი ლამპიონებია და ეს საცოდავები,
ღამღამობით, იმას ესხვიან, ერთხანს თავბრუდამხვე-
ვად ბრუნავენ და ქანცვამოლეულები (ასე ეცლება და
უთავდება ჯიბის ბატარეას მკვებავი, ფაფასავით ელე-
მენტო, მანათობელი დენის წყარო) ძირს ცვივან. მათ
ადგილს უმაღლესი სხვები იჭერენ. დავარდნილებიდან
ზოგიერთებს ფრთების სუსტ რხევაზე ეტყობათ, რომ

ჯერ კიდევ სული უდგათ, მაგრამ წელის წამოწევა აღარ ძალუძთ, უმრავლესობა ჩამოქროლილი მანქანის ბორბლისგან და გამვლელთა ფეხქვეშ ივლისება. საყვარელი, შავი ბუსუსა ფეხები აქვთ. ბევრჯერ მიხანხავს იმათი ფუთფუთი, აფორიაქებული ცოცვა სახლის კედლებსა თუ ბოძებზე. ქვიშხეთის ბაქანი მახსენდება; მაშინაც ეს დრო იყო, აგვისტოს ბოლო, - იქაური დასასვენებელი სახლიდან ბავშვები რომ მოგვეყვავდა თბილისში და მატარებელს ველოდებოდით. ჯგროდ, წიწიბოს ჩენჩობებით ეყარა პეპლები ბეტონის დიდ, შემალღებულ ფილაზე. ზოგს ღია ჩალისფერი დაკრავდა, ზოგიც უფრო მუქი იყო, ჩაის წყალი რომ ჩაგრჩება ჭიქაში, ისეთი. ზომა კი ერთი ჰქონდათ; შავი, ვაღაბნილი წერტილებიც (თითო ფრთაზე ორ-ორი) ერთნაირად იყო განლაგებული.

საგანგებოდ დამიხედავს - შიდა ორი ფრთა ღია ყვითელი სიფრიფანა აბრეშუმის ქსოვილს გაეს, სათადარიგოა, ღამის გაჭრილი პერანგის მსგავსი, განსაცვიფრებლად ნაზი, ჰაეროვანი. მცირე ნაწილს ამ პეპლებისა (ეს ალბათ მათი ნაირსახეობაა) ცერად დაწინწკლული მურივით წერტილების ნაცვლად ფრთებზე მოზრდილი, ოთხკუთხედი ლაქები ამჩნევიათ. ასეთ დროს ანუ ზაფხულის ჩათაგებისას, დახოცილ პეპლებზე (ისევე როგორც გაჭყლეტილ ტარაკებს ემართებათ) საიდანაც გამოქანებულია და უცებ თავმოყრილმა ჭიანჭველებმა იციან მისევა (ისინიც, ფუტკრების არ იყოს, რაიმე სიტკბოს, ნექტარს ხომ არ წუწნიან?).

ერთხელ, როცა ამ პეპლებს ვაკვირდებოდი, ერთი, შედარებით მძაფრად აფართხალებული, ჩემი ჭკუით, გადასარჩენად ავიყვანე და ფოთლოვან ალაგას დაესვი ბაღში. სხვას, ქარისა თუ სიკვდილისწინა კრუნჩხვებისგან ამოტრიალებულს, მომცრო, წელგაწირაული კრახანა მიჯდომოდა და ცივ, კარში დატანებულ, პაწაწინა ანჯამის ღერძივით გაწოლილ, კეცა-კეცად დაყოფილ მუცელს თავდავიწყებული წუწნიდა. ხომ შეიძლებოდა იმ წუთას თუნდაც მე დამედეგა უნებურად ფეხი და ორივენი გამეხრისა.

ერთბაშად, ხელიერთპირად დახოცილი ეს უმწეო არსებები, ქართლსა და კახეთში, გზისპირას გამწკრივებულ ოქროცოცხას დაცვენილ ყვითელ, დამბანგველ ყვავილებსაც გვანან. მცირე ხნით უსწრებენ ფოთოლცვენის დაწყებას. მალე ამავე მოედანს, სექტემბერში, რუხი, მონუსხული თუ გაშტერებული, ბარდაყვებადამტვრეული და ფეხით მოსიარულეთა ქუსლებით გაჭყლეტილი ტანმკვრივი კალიები დაფარავს. მიზეზი მათი თავმოყრისა ისევ გადაბრიალებული ლამპიონები იქნება. ჯერ კი კვლავ დახოცილ პეპლებს დავცქერე და ვფიქრობ - რაა ამათი გაჩენის აზრი, სიცოცხლე?!..

გულგრილი, ჩაჩოქილი კამეჩივით მცოცხენული მარადისობის თვალში, ალბათ, ასეთსავე უმნიშვნელო ნამცეცხვად ფანჯარა ჩვენცა და ის უბადრუკი წლებიც, რაც ვანგებამ თუ ბუნებამ ჩვენთვის გამოიმეტა. ჯობნით არავის ვგვობივართ, უარესები კი შეიძლება ვიყოთ. ამ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზეც ბევრი საშინელების გაკეთებას ვასწრებთ.

16.04.95. დღეს ბზობაა, მაგრამ სახლიდან არ გავესულვარ. ვერც სასაფლაოზე ავედი. პარასკევს მზეზე მომიხდა უქულოდ ყოფნა და დავისიცხე, შემპარავად,

შეუმჩნევლად. შინ დაბრუნებულს, თავი ამტკივდა. გაზომვა არ მიყვარს, მაგრამ შევატყვე, წნევა მქონდა, დავწექი, დავიძინე. დღეს, შედარებით, თითქოს არა მიშავს, უკეთ ვარ, თუმცა წამლის დაღვევას ვაგრძელებ.

ერთმა ახლობელმა მომიტანა „ინოსტრანნაია ლიტერატურა“, ძველი (1992) ნომერი, სადაც ემიგრაციაში წასული ჩემი მწერლის მილან კუნდერას რომანია დაბეჭდილი - „ყოფის აუტანელი სიმსუბუქე“. კუნდერას, ცხადია, დიდი მწერალი არ ეთქმის, მაგრამ ეს რომანი ძლიერად არის დაწერილი; ფონად ვასდევს პრალაში რუსეთის ტანკების შეჭრა, ოსტატურად, ამალეღებლად და დახატული რამდენიმე, ერთმანეთთან გადახლართული წყვილის ტრაგიკული ბედი. ბევრია ღრმა ფილოსოფიური განსჯა, დიდი ადგილი აქვს დათმობილი ეროტიკას, სექსს, რასაც ზოგჯერ პათოლოგიური იერი დაჰკრავს, იგრძნობა ერთგვარი ნათესაობა მარკიზ დე სადთან, სელინთან, ჰენრი მილერთან, ოლონდ ისეთი გულისამრევი პასაჟები არაა. ყველაზე ძლიერი და შთამბეჭდავი მინც მთავარი გმირის, ტერენსას ხასიათია. ჩანს სიმბოლური სახეებისკენ მიდრეკილება, მრავალპლანიანობისკენ ლტოლვა, ძალდაუტანებელი პოეზია, რის მეოხებითაც წიგნი კარგად იკითხება. ეს რომანი კი უნდა ითარგმნოს, მაგრამ ამჟამად საქართველოში ისეთი აუტანელი მდგომარეობაა, რომ წიგნისთვის აღარავის სცხვლა. ხალხი სულ იმაზე ფიქრობს, რა ჭამოს, თავი რითი გაიტანოს. პრალა ბევრის და ჩემს წარმოსახვაშიც კავკასი უკავშირდება; განსაკუთრებულად მიყვარს მისი დღიურების კითხვა. ადრე „ცინე-სიმაგრის“ დაძლევა გამიჭირდა. ერთხელაც მინდა გადავიკითხო, ჩემი დამოკიდებულება გადავსინჯო ამ უზომოდ ტრაგიკული შემოქმედის ერთ-ერთი მთავარი წიგნისადმი.

ამავე ნომერში დაბეჭდილია გამოჩენილი იაპონელი პოეტის ისას (1763-1827) ლექსები და პროზაული ჩანაწერები. ჩანაწერების წიგნში „ჩემი გაზაფხული“ მოთხრობილია სინანოს პროვინციაში მცხოვრები აფთიაქარ ნაკამურას ამბავი, ვისაც ერთმანეთზე სასიყვარულოდ გადახლართული გველები მოუკლავს და იმავე საღამოს უადგილო ადგილას გასჩენია სიმსივნე, რომელსაც მალე კიდევაც ემსხვერპლა. დისაჯა მისი შთამომავალიც, ვაჟიშვილი; ქალთან ურთიერთობის უნარი წაერთვა. ამ ამბავში პოეტი განგების ხელს ხედავს და წერს:

„ყოველი არსებისა და ცხოველის სიცოცხლე, თვით რწყილებისა და ტილების, ისევე უნდა ფასობდეს, როგორც ადამიანისა. შეწყვილებული (სქესობრივ კავშირში მყოფი) ცხოველების დახოცვა კი - ყველაზე დიდი ცოდვაა“.

ამან კვლავ გამახსენა ბავშვობაში ბებიჩემის ლეონინა ფირცხალაიშვილის მონაყოლი, როცა მან გაზაფხულზე, მაისის თვეში, წისქვილისკენ მიმავალმა, სწორედ საალერსოდ გადახლართული ორი ულაამაზესი გველი დაინახა. კენჭი ვესროლე და რომელიღაცას ზურგზე დაეცა, დაშორდნენ ერთმანეთს და გასრიალდნენ, წავიდნენო, სინანულით ამბობდა. წუხდა, რომ იმათი სიამტკბილობა დააფრთხო. არ ვიცი, ხალხური რწმენით, გადმოცემებით თუ სხვა რამის მეშვეობით, რაღაც ძველი სიბრძნე ჰქონდა შეთვისებული, რომ

ასეთ მდგომარეობაში მყოფი გველებსთვისაც კი არაფერი არ უნდა დაემავეზინა. ჩემთვის ეს სიბრძნე მხოლოდ ახლა არის ასე თუ ისე მისახვედრი.

ყველაზე არსებითი და მთავარი, რაც ამ ნომერშია დასტამბული, მაინც სალვადორ დალის ბიოგრაფიული წიგნის - „საიდუმლო ცხოვრების“ - ორი თავია. დალი არც მალავს თავის ფსიქიურ გადახრას, მძაფრად პარანოიდულ ბუნებას, მოჩვენებებს, შეუკავებელ ხანგრძლივ სიცილს და სწორად ირწმუნება, რომ იგი გალასთან შეხვედრამ და მისმა ცოლად შერთვამ გადაარჩინა. აქ ამბობს იგი თავის განთქმულ ფრაზას: „მე არ ვეძებ, მე - ვპოულობ“. ამისი თქმა პიკასოსაც უყვარდა. ახსენებს ორს, აქებს მის ესეს, პუსენსა და ელ გრეკოზე (ნეტა ვინმე თარგმნიდეს). ერთგან დალის ანახსენები ჰყავს პავლე ჩელიშჩევი (1898-1957), თეატრალური მხატვარი; ჯერ საფრანგეთში უცხოვრობდა, მერე ამერიკაში გადასულა. გასარკვევია, წარმოშობით ქართველი (ჭელიძე) ხომ არ იყო? ასეთი შემთხვევები არც ისე იშვიათია.

ხელოვანთა, მხატვართა შორის სხვაობას დალი კიბოს სიმსივნეს ადარებს და ესახება, როგორც გორგონას თავი, ოღონდ გველებს ნაცვლად შუა ადგილიდან, მუცლიდან, ნაწლავები ამომკერალან და ერთმანეთს დაუნდობლად სახსლავენ. დაუნდობელი, ძალზე დამაფიქრებელი მეტაფორაა.

აქვე ეს ახირებული გენიოსი იმასაც უჩივის, რომ მხატვრებს ფანტაზია არ ჰყოფნით, უკვირს, რომ მის მსგავსად ვერ მოიფიქრეს დამნაშავე, დაღწეული საათების დასატვა. ასეთ დროს უპირველესად გახსენდება მისი ცნობილი სურათი „მეხსიერების სიჯიუტე“ (მდგრადობა) - ღია ლურჯი ცა, ზღვის პირად მზისგან შეფერილი კლდეები, გამხმარ ხის ტოტსა და მაგიდის კიდზე გადაკეცილი ოვალური, დიდი ზომის ჯიბის საათები, რომელთაც ცისფერი დასდებიან... მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის ნამუშევრებში დალიმ მიზნად დაისახა, პლასტიკის ენაზე ჩვენებინა მატერიის, ფორმების რღვევა და გარემომცველი სამყაროს, საგნების წმინდა ენერგიაში გადაყვანა.

სალალობოდ - თუ გასართობად, თავშესაქცევად, ეს დაუშრეტელი ფანტაზიის კაცი ჩამოთვლის სწავლასხვა ფორმის სავარაუდო ტელეფონებს (საამისოდ ცოცხალი კუს ბაკანის გამოყენებასაც გვთავაზობს) ახსენებს ბიოკინის სახელზე დამზადებულ ტელეფონსაც, რომელიც კვიპაროსის ღრუშია შედგმული (ეს „მკვდართა კუნძულის“ ილუზია უნდა იყოს), ხოლო დისკზე უთუოდ სიკვდილის ალეგორიული ფიგურა - ვერცხლისწონჩხიანი ცელი უნდა იყოს გამოსახული... ედგარ პოს სახელზე დამზადებულ ტელეფონში დამხრჩვალი ვირთხა უნდა ჩავდოთ (აქ პოეტის კომპარულ მოთხრობებზეა, ალბათ, მინიშნება). დალი ამბობს, რომ ამგვარი ტელეფონების რაოდენობა უსასრულობამდე შეგვიძლია გაეზარდოთ. მას სხვა შემთხვევაშიც მოსდის თავში ასეთი ფანტასტიური რჩევები. ეს ყველაფერი ძალზე საინტერესოა. ალაგ-ალაგ გამოთქმულია სადისტური აზრები მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნაზე და მისთანანი.

მეთუ თავის ზოლოს დალი სამართლიანად გამოთქვამს საყვედურს პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ხელოვნების დაქვეითების, დაწვრილმანების გამო, აღნი-

შნავს, რომ უნდა მივუბრუნდეთ ტრადიციებს ფერწერაშიც და ყველა დანარჩენშიც. აღიზანებს სიმასინჯე და უფორმობა, ცარიელი ფილოსოფიური ლაყობა, რამაც ჭიქა ყავიდან ტილოებსა და წიგნის ფურცლებზე გადმოინაცვლა. გულს უკლავს ის გარემობა, რომ მხატვრები ამა ქვეყნის ძლიერ კოცნიან, ერთმანეთს დემაგოგიაში ეჯიბრებიან. გმობს მაძღარ ცხოვრებას, სადაც სულისა და ტრადიციისათვის ადგილი აღარ რჩება.

25.02.96. ამ ოთხი-ხუთი დღის წინ მოსკოვის ტელევიზიიდან ელდარ რიაზანოვის გადაცემა იყო - იგი უკვე მოხუცებული, 82 წლის ჟან მარეს ესაუბრებოდა. დროისაგან დარღვეულ მსახიობს მაინც შთაბეჭდავი, გოლიათური აღნაგობა ჰქონდა. გასაოცარი სითბოთი და სიყვარულით ჰყვებოდა ჟან მარე დედამისზე, რომელიც გაჭირვების გამო თურმე ქურდობდა და ციხეშიც მოხვდა. ამ მონათხრობში იყო დიდი ადამიანური სევდაც და იუმორიც. მის კეთილშობილებაზე მეტყველებდა ისიც, რომ გულახდილად თქვა - ბედი უსინდისოდ მწყალობდა, ჩემზე ბევრად ნიჭიერმა მსახიობებმა ვერაფერი დატოვესო. არ გამკვირვებია ისიც, რომ უზომოდ ჰყვარებია ცხოველები. ყოფილა შემთხვევები, რომ სახლში შეიღირვა ძაღლი ჰყოლია. ამჟამად ერთი იყო გაწოლილი მის ფეხებთან და ალერსიანად შესცქეროდა თვალებში. მეტ ძაღლს აღარ ვიყოლიებ, ხნიერი ვარ და არ მინდა დავაობლო, მასზე აღრე მოგვედო. ყველაფერზე უტყობოდა, რომ დიდი ერის, დიდი კულტურის შვილი იყო, არაფრის დამალვა და მიჩქმალვა არ სჭირდებოდა. არ დამავიწყდება; უცნაურად, შეიძლება ითქვას, გულდაწყვეტილად გაღიმებული უმზერდა თავის ახალგაზრდობისდროინდელ კადრებს - ფიცხელი ფარიკაობის ილეთებს.

გუშინ თბილისის ტელევიზიაში აჩვენა ფელინის კიდევ ერთი შედეგრი - „ჯულიეტა და სულელები“; გვიან ჩავრთე და მაინც უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა. თუ შეიძლება დიდ პოეტად დარჩე კინოში, ეს ფელინია. განსაკვირვებლად აზავებს კომიზმსა და სექსს, ყოფით ეპიზოდებსა და ზღვარდაუდებელ ფანტაზიას. სრულიად შეუდარებელია ტიპაჟის შერჩევაში, მასავით ცოტა ვინმეს თუ ხელეწიფება მუსიკალური ფონის დადება (აქ ჩარლი ჩაპლინის გახსენებაც შეიძლებოდა). მე ვერასვით ვერ გამოვიდებ თავს, თითქოს კინოხელოვნების მიღწევებს ვიცნობდე (პირიქით, ამ მხრივ მეტისმეტად ჩამორჩენილიც კი ვარ), მაგრამ ვერ წარმომიდგენია, ფელინის გენიას ვინმემ წააჭარბოს. ამოუწურავია ჯულიეტა მაზინას ნიჭიც. რა ტრავიკულ-მიამიტური სახე, თვალები და გამოხედვა აქვს, რამოდენა სევდა და მიმდობი გულუბრყვილობა გამოკრთის მის დაუფიქრარ გამომეტყველებაში. სხვა რეჟისორთან, ალბათ, ასეთი გამოაგნებელი ძალა არ ექნებოდა მის თამაშს. წერენ კიდევაც, ფელინის გარეშე ჯულიეტა მაზინა არაფერი არ იქნებოდაო. ვინ იცის, ეგებ ასეც ყოფილიყო. მიჩვენება - რენესანსის ეპოქის იტალიელი მხატვრების გენი, რამდენადმე, ფედერიკო ფელინის პიროვნებაში გაცოცხლდა. ნეტა, საქართველოში მოხდებოდა ეს ყველა მისი ფილმის ჩვენება - ეს ნამდვილ დღესასწაულად მესახება.



გზა სკვლეა მოყოლოცინელოცობებით

- დიახ, გისმენთ, ბონდო ხარ? რა ჰქენი, ჩემო ბონდო?
- ვერაფერი. სამი დღეა, დავდე. ვერც სახლში მოვიხელთე, ვერც გარეთ.
- დიღმის საწვრთნელ მოედანზე სცადე შესვლა?
- როგორ არა, მაგრამ ხუმრობ უელსის „კარდიფ სიტისთან“ მატჩის წინააღმდეგ შედევას? უამრავი ხალხია მიმწყდარი - გულშემატკივრები, ჟურნალისტები. მერე ხომ იცი, დათო როგორ ემალება ჟურნალისტებს.
- კარგი, თუ ღმერთი გწამს, ვინ ვინ და შენ რომ ვერ გახდე რამეს, არ დავიჯერებ. კრემლში მოახერხე შესვლა, კალინინს, კაგანოვიჩს, მოლოტოვს, ხრუშჩოვს შეხვდი... რიჩა გაგუამ მშვენიერი ინტერვიუ მოგვანოდა, გუშინწინ აუღია დათოსგან. გამზადებული გვაქვს დასაბეჭდად. დავით ყიფიანის სურათების მეტი რაა „დროშის“ მარაგში, მაგრამ გარეკანისთვის ახალია სასურველი. აი, ისეთი შენ - ბონდო დადვაძეს რომ გჩვევია. ჩაყარე ბადეში ბურთები, გადაკიდე მხარზე. დავუბედოთ დავით ყიფიანს ბევრი ბურთის გატანა. გემუდარები, წადი, არ დაიზარო.
- კი მაგრამ, დამეხმარე, დედამისი ხომ შენი მეგობარია, რატომ არ დაურეკავ
- გააფრთხილოს, შეგვიშვან „დროშელები“ სტადიონზე. შესვლაა პრობლემა, თორემ... განა მე უარს მეტყვის დათო?
- მეც მოვალ, მოგეშველები, უნდა გაგვატარონ...
- შესასვლელთან დაგელოდები. თუ ვერ მნახო, ე. ი. შანსი მომეცა და გავედი.
- კეთილი, შევთანხმდით.
- ყურმილი დავდე. და ახლა ყიფიანებთან დავრეკე. ქალბატონმა ქეთევანმა - ციალას დედამ მიპასუხა, ამ ოჯახის დიდმა დიასახლისმა.
- დეიდა ქეთო, უნდა მიშველოთ, დათოს უნდა სთხოვოთ, უარი არ უთხრას ჩვენი ჟურნალის ფოტოკორესპონდენტს სურათის გადაღებაზე.
- გეთაყვა, მაგას როგორ დაგზარდები? მაგრამ მთელი კვირაა, არ მინახავს.
- დავიჯერო, არ რეკავს? ხომ ვიცი, თქვენი ლოცვა-კურთხევის გარეშე არ გავა მოედანზე...
- დიახ, დიახ, ეს მართლაც ასეა, - თქვა მან, - უთუოდ დარეკავს, გადავცემ, როგორ არ გადავცემ, უარს როგორ გეტყვით ჩემი დათუნა.

დათო აღმერთებდა ბებიას. ქალბატონი ქეთევანი — შვილიშვილს. ის დიდ მსგავსე-ბას ხედავდა შვილიშვილსა და მამას შორის. „ასეთივე კობტა აღნაგობის იყო მამაჩემი, დიდრონი კეთილი თვალებით. დარბაისელი, საქმიანი, მაღლმოსილი. მასაც დათოსავ-ით გულმხურვალედ უყვარდა თავისი ქვეყანა. შეყვარებული იყო მშობლიურ სიმღერე-ბზე და ბოლომდე თავისი ქვეყნისა და სიმღერების ტრფიალი დარჩა“.

ღამე თეთრად გავათენე. ჩემი ფიქრი და გონება ყიფიანების ოჯახის გარშემო ტრი-ალეზდა. ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლიდა ჩვენი მეგობრობა. სურამელებმა გამაცნეს იგი.

საღამო ხანს ბაიანათხევეში იყრიდნენ თავს დამსვენებლები. აქ მოსეირნე მშვენიერი სამი გოგონა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. ეს გიულია, ეს ნანა, ეს ციალა. მიხეილ მურვანიშვილის შვილიშვილები არიანო, - ამბობდნენ მოაგარაკენი.

მიხეილ მურვანიშვილი კი გახლდათ ქალბატონ ქეთევანის მამა. საქართველოში ცნო-ბილი მეტყვე-ინჟინერი, შესანიშნავი ქართველი ინტელიგენტი, ვისი მაღლიანი ხელი-თაც გადარჩენილი და გაშენებული ტყეები დღესაც შრიალებს სურამის მთებზე თუ ბორჯომის ხეობაში.

იტყვიან: ოჯახიშვილობით იცნობა ადამიანი და თავადაც სახელს ამით იხვეჭსო. ეს შავთვალწარბა გოგონა, ლამაზი, დიდრონი, მიჯრით მიყრილი კბილებით, გარეგნობი-თაც გამოირჩეოდა ტოლ-ამხანაგებში, ქალბატონ ქეთევანის ქალიშვილი სტუდენტობაში უფრო დამშვენდა და კიდევ მეტად გახმაურდა მისი სახელი.

და კიდევ უფრო დიდად, როცა მან ულამაზესი ქაბუკის - დავით ყიფიანის გული მოინადირა. ისიც სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახლდათ, მის პოპულარობას გარეგნობის გარდა ხელს ისიც უწყობდა, რომ ფეხბურთს თამაშობდა „მედიკის“ გუნდ-ში საკმაოდ წარმატებულად და ინსტიტუტისათვის გამარჯვებები მოჰქონდა. ახლად-შერთული მეუღლის ხვეწნა-მუდარის შემდეგ დათმო მან ფეხბურთი და თავის ძირითად საქმეს მოჰკვიდა ხელი. თბილისში სახელმწიფო ლარინგოლოგის სახელი დაიმკვიდრა, მაგრამ ფეხბურთისადმი ყინი მაინც არ განელებია. ციალამ დედის შარავანდედი დაიდ-გა თავზე - ოჯახში გაჩნდა დავით მეორე. მამამ ბურთის სიყვარული შვილს გადაულოცა და თამაშ-თამაშით ისე განწვრთნა ბიჭი, მთელი „ვერა“ აალაპარაკა.

ციალა ბობოქრობდა, განიცდიდა ფეხბურთ-ში ბიჭის წარმატებას. ერთ მშვენიერ დღეს აღელვებული მომადგა სახლში და მოჰყვა ქმ-რის საყვედურებს. თავისას არ იშლის - ბიჭი ფეხბურთის სკოლაში უნდა გადავიყვანო, გაიძახის: ჩემი შვილი ფეხბურთის პატარა ვარ-სკვლავიაო. გთხოვ, ნუ დამზარდები, აქვე სკო-ლის ეზოში აქვთ „ორგოლობანას“ თამაში მეშ-ვიდეკლასელებს, წამოდი, ერთი, ნახე, რა მო-მავალი ვარსკვლავიცაა.

- შენც მნახე ავტორიტეტი, ფეხბურთის რა გამეგება, მაგრამ უარს როგორ გეტყვი?

და აი, 53-ე სკოლის ეზოს ფეხბურთის მოედანზე პირველად ვიხილე მომავალი ვარ-სკვლავის თამაში:

ეზოში გადაგდებულ ძველ მერხზე ვისხედით.. ეზო სავსე იყო გულშემატკივრებით, სკოლის პედაგოგთა პერსონალით, დაინტერესებული ბი-ძებით, რომელთაც გაგონილი ჰქონდათ ამ ბი-ჭის ქება.

მე, აბსოლუტური პროფანი ფეხბურთში, თამაშის დასაწყისიდანვე ჩავები მყურებელთა ფერხულში. თვალს ვერ ვაშორებდი ჯერაც უღ-ინდლო ბიჭებს. გამხდარ, მხრებში აწურულ დათუნას. რა სწრაფად დარბოდა... რა სი-





ზუსტით აწვდიდა თანაგუნდელებს ბურთს. აგერ, მოიგდო ბურთი ფეხებში, წამით თვალი მოავლო იქაურობას და ძლიერად დაარტყა, ბურთი ჰაერში ავარდა და ბიჭი თითქოს გაფრინდა. ბურთს დაენია, შეჩერდა, კვლავ შმაგად მოავლო დიდრონი შავი თვლები მოედანს. იპოვა თანაგუნდელი და ბურთი მისკენ აფრინა. ზუსტად მიანოდა ფეხებში და თავად შველივით გადაეწვლო მინდორს.

- ბემბი! ბემბი! - შევძახე აღტაცებულმა, დიახაც განსხვავდება იგი ყველასაგან. ცილა, როგორ შეგიძლია ამ სანახაობას გულგრილად უცქირო?

- სწორედაც არ შემიძლია! ვაიმე შვილო! დაეცა. ავდგეთ, წავიდეთ. ამას წინათ ხელი მოიტეხა, ახლა იმას ვუყურო, ფეხს როგორ დაიშავებს? სუსტია, სუსტი...

- დაეცა - დიდი ამბავი! - შეხედე! შეხედე! როგორ სხარტად წამოდგა, ისევ წინ გავარდა ცეკვით, სიმღერით, სხვას უკეთესს ვერაფერს შეარქმევდი მის მოძრაობას.

- ბემბი! ბემბი! სუსტი კი არა და, ნორჩია. ნუკრი, შვლის ნუკრი. მამამისი არ ცდება. ნახავ, რა ხარ-ირემი დადგება მისგან!

- კარგი, თუ ღმერთი გწამს. ერთი გაჩვენა, როგორ აქვს დასისხლიანებული, გადაყვლეფილი, ჩემი ნაფერები მუხლები. ბეზიამისი ამის დანახვაზე ცრემლებად იღვრება. მამამისი კი აგულიანებს - ყოჩაღ! ყოჩაღ!

- შენ ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავი ხარო. სხვა ვერაფერში ხედავს მის ნიჭს? ბიჭს ნიგნი უყვარს, ენებისკენ აქვს მიდრეკილება, ჭკვიანია. რატომ არ შეიძლება მისგან დადგეს, ვთქვათ: დიპლომატი, იურისტი, ექიმი. აგერ კიდეც დაეცა, - შვილო! წავიდეთ, წავიდეთ, ვერ გავუძლებ ამის ცქერას.

- ქალბატონო, თქვენ დათოს დედა ბრძანდებით? რატომ ღელავთ? მაგას ვენაცვალე. ის ჩვენი სკოლის სიამაყეა, ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავი, - თქვა ვიღაცამ ჩვენს უკან.

- ესლა მაკლდა! ვინ არის ეს! - იკითხა პატარა ვარსკვლავის დედამ.

- ეს ჩვენი მეზუფეტეა, დათოზე შეყვარებული. შესვენების დროს ბუფეტში ბიჭებს რომ ზედახორა აქვთ, დათოს კატლეტს ურიგოდ აძლევს, - გამოეპასუხა მეორე.

ის დღე იყო და, ფეხბურთის გულშემატკივარი გავხდი, პატარა ვარსკვლავის ქომაგი.

უფროსმა დავითმა თავისი გაიტანა. დათუნა 35-ე სკოლაში გადაიყვანა სასწავლებლად. აქ მისი წარმატებები აშკარა იყო. შეიყვანეს მოზარდთა, ხოლო შემდეგ ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელმაც საკავშირო ტურნირზე პირველი ადგილი მოიპოვა. მერე დათო „დინამოს“ „დუბლებში“ გადავიდა. იზრდებოდა, ყალიბდებოდა და ერთ მშვენიერ დღეს „ბემბი“ გულშემატკივრებს მოეწვინა, როგორც ბუნების შესანიშნავი ქმნილება - დავით ყიფიანი. საფეხბურთო მინდვრების ჭეშმარიტი რაინდის დავით ყიფიანის ქებათა - ქება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გასცდა. დავით ყიფიანმა ასახელა ქვეყანა, გაუთქვა სახელი თავის ხალხს, ახლობლებს, ნათესავეებს, ყველაზე მეტად კი - დედას.

ქალბატონ. ცილა შურლიას - საქართველოში ცნობილ ექიმ-ოფთალმოლოგს ახლა ყველა მოიხსენიებდა, როგორც დავითის დედას. დავით ყიფიანის დედას მოწინებთ უხრიდნენ თავს, უთმობდნენ გზას, სკამს და განა მარტო ჩვენში...

შულამე გადავიდა. თვალზე რული არ მეკარება, გზადაგზა ვიხსენებ ჩვენს თავს გადახდილ ამბებს:

მოსკოვი... დათოს ზეობის ხანა... ბატონი გივი ბახტაძე მოსკოვში მიემგზავრება თერაპევტთა ყრილობაზე. მე და ციალა ავედეენით. სასტუმრო „უკრაინაში“ დავბინავდით.

იმ ლამესვე გავრცელდა ხმა, რომ მეთე სართულზე ცხოვრობს დავით ყიფიანის დედა და მოჰყვა ტელეფონი რეკვას:

- დავით ყიფიანის დედა ბრძანდებით? სად შეიძლება თქვენი ნახვა? როდის? სულ ცოტა ხნით... მოსვენებას არ აძლევდნენ ჟურნალისტები, სასტუმროში დაბინავებული ტაჯიკი, ბელორუსი სტუმრები. ვესტიბიულში ვერ გაგვივლია. ყიფიანის დედის ნახვა აინტერესებს ყველას...

ყრილობა ერთი დღით ისვენებს. ქალებს საყიდლებისკენ მიგვიწვევს გული. ბატონ გივის თეატრისკენ. ძლივს დავიყოლიეთ, ჯერ ნაყინი მივირთვათო. და აი „გუმში“ დავეხეტებით, ხელში გვიჭირავს ბავშვების ფეხსაცმლების გრძელი სია. თითოეულმა ათ-ათი წყვილი გავინანილეთ.

ჩავდექით გრძელ რიგში. ბატონი გივი წინ მიგვიძღვის, მივყვებით რიგს... ვგრძნობ, აგვითვალისწუნებს. მოგვდევენ უკან და მოგვძახიან დაუმალავად: Этот усатый наверняка грузин, шашлычник, лавровый лист...

- არ მიაქციოთ ყურადღება, - გვამშვიდებს „ულვაშა“, დაე, სულ გაგიჟდნენ...

როგორც იქნა, „ულვაშას“ რიგმაც მოაღწია. მან ჩვეული სიდინჯით მოიმარჯვა სათვალე და მშვიდად კითხულობს ფეხსაცმლის ნომრებს...

- რა ამბავია?! - ისტერიულად შევივლა გამყიდველმა ქალმა და აჰყვა ერთი, მეორე: ჩამოდიან აქ, ჩამოაქვთ მწვანელი, ცეცხლის ფასად ჰყიდიან. მერე ამ ფულით ჯიბეებს ისქელებენ, ჩვენს საქონელს ყიდულობენ, მიაქვთ თავისთან და ახლა იქ ჰყიდიან უთუხბირად, სპეკულიანტები!

- რას ბრძანებთ? - როგორ გეკადრებათ? ეს კაცი დოქტორია, პროფესორი, დიდად პატივცემული, ყრილობის დელეგატი... ეს ქალბატონი კი მისი მეუღლეა ჟურნალისტი. მოგეხსენებათ, ჩვენთან ძალიან ჭირს ბავშვის ფეხსაცმელი. ჰოდა, თუ ვინმემ ყური მოჰკრა მოსკოვში მიდიხარ, ნაცნობი, უცნობი, ნათესავი - ყველა ბავშვის ფეხსაცმელს გაბარებს, და ასე გვიგროვდება... გარდა ამისა, ჩვენც ხომ გვყავს შვილები, შვილიშვილები? - მუდარის ხმით ჰყვება ქალბატონი ციალა.

- არ მისცეთ! - თავს იკლავს ვიღაც ჩვენს უკან. - გამოყარეთ რიგიდან, რას ელოდით ვებით? გამოჩნდა ახალი ენთუზიასტი უკანა რიგიდან.

ბატონი გივი დინჯად, აუღელვებლად მიმართავს ოქროსფერთმიან გამყიდველს:

- არ დაიჯეროთ, ეს სიცრუეა...

- როგორ ბედავთ, რატომ შეგეფურაცხყოფთ? ეს ქალბატონი ექიმი, ცნობილი ექიმი, ჩვენშიც და, სხვათა შორის, თქვენშიც. იკითხეთ გელმგოლცის ინსტიტუტში - ციალა შურღაია. დიას! მას აქ სტუდენტობის დროიდან იცნობენ. წლების მანძილზე აქ მუშაობდა. - თავი გამოვიდე მე და იცით, კიდეც ეს ქალბატონი ვინ არის? - იგი დავით ყიფიანის დედაა, ხომ გაგიგონიათ ეს სახელი? ის ხომ კარგია, როცა სტადიონზე სიამოვნებას განიჭებთ „ულვაშა“ ქართველი? გულაჩუყებული ვყვები მე.

- დავით ყიფიანის დედაა?
- გაკვირვებით თქვა ქერათ-





მიანმა გამყიდველმა და გამიღიმა.

- დიახ!

და უცებ ჩაჩუმდა რიგში აყალმაყალი.

- დაიცათ, დაიცათ, ეს ქალბატონი დავით ყიფიანის დედაა, სასიამოვნოა. თქვენ, ალბათ, მამა ბრძანდებით. მაპატიეთ, ღვთის გულისათვის, - მოჰყვა ბოდის ქერათმიანი და ჩქარ-ჩქარა ჩაყარა ყუთებში ფეხსაცმლები.

„ულვაშამ“ უსიტყვოდ აკრიფა ბრძოლით მოპოვებული ნადავლი და უხმოდ გავიდა რიგიდან.

ჩვენ ელვის სისწრაფით ავხვეტეთ დახლიდან ასე ძვირად მოპოვებული საქონელი და ხარხარით ულვაშასაკენ გავეშურეთ. ის იდგა დათქმულ ადგილზე: მაღალ სარკესთან. წარბები კუმ-

ტად შეეკრა, დანა პირს არ უხსნიდა: რამ მომიყვანა აქ? უნდა მომეკლა ის უბედური რუსი, მაინც რამდენი მოვითმინე, თავისთვის ვერ მიპატიებია. მადლობა ღმერთს, ქართველებს ნამუსის მომწმენდი თითო ქართველი ყოველთვის გვყავს რუსეთში.

- აი, ჩემო კარგო, რა პატივში ხარ! - ნიშნისმოგებით ვეუბნები ქალბატონ ციალას, ხომ ნახე, რას შვრება შენი შვილის ჯადოსნური სახელი? რომელ დიპლომატს, იურისტს, ექიმს მიაგებს ხალხი ასეთ სიყვარულს? შენ კიდევ თავს იკლავდი, ოღონდაც ბურთი არ ეთამაშა.

წავედით ახლა თეატრში.

- ღმერთო ჩემო, გეთანხმებით, ფეხბურთი ბუნებით მომადლებული ნიჭია, მაგრამ ტიტანური შრომაც ხომ არის? ვარჯიში ქარსა და წვიმაში, ტრავმები. მატჩის მღელვარება და განცდები, ცოლ-შვილთან დაშორების სინანული, უძილო ღამეები. ახლა ამას მოგზაურობაც დაუმატეთ. დიახაც, დღესაც ვღელავ, იმდენს მიდი-მოდის, სულ გზაზეა გამოდებული. გზა კი, ჩემზე უკეთ მოგესხენებათ, სავსეა ფათერაკებით, მოულოდნელობებით...

- მე რომ დათოს სახელი არ მეხსენებინა, არ მეთქვა, რომ შენ დათოს დედა ხარ, ახლაც იმ ჭიდილში ვიქნებოდით. დათოს დედა! დათოს დედა! - გავიმეორე ძილ-ღვიძილში და უეცრად გავთავისუფლდი წამებისაგან: ვიპოვე გასაღები ჩემს გაჭირვებას რომ მოერგებოდა და გახარებული საწოლიდან წამოვფრინდი.

დიდმის სანვრთნელი მოედნის წინ უამრავი ხალხი ირეოდა. ნაცნობებსაც მოვკარი თვალი. უთუოდ ბილეთების საშოვნელად იყვნენ მოსულები. მე ჯიქურ დავადექი გზას შესასვლელისაკენ.

- ქალბატონო, საით? სანვრთნელ მოედანზე არავის უშვებენ, - მომვარდნენ აქეთ-იქიდან.

- მე შემიშვებენ, გამატარეთ, დავით ყიფიანთან მაქვს საქმე.

- ქალბატონო, შეჩერდით! - დამეწია ბრგე მილიციელი და გამაჩერა. თავად ყიფიანისგან გვაქვს აკრძალული. საბუთი, ვინ ბრძანდებით?

- მე საბუთი არ მჭირდება. მე ვერ ამიკრძალავთ. ვერც დავით ყიფიანი დამიშლის მასთან მისვლას.

- კი მაგრამ, მაინც ვინ ბრძანდებით?

- დედა ვარ! - წამოვიძახე. გესმით? გადაეცით, რომ დედა მოვიდა მასთან, გამატარეთ...

- დედა?! დათოს დედა! თქვენი ჭირიმი, - თქვა მან და გასცა განკარგულება:

- აბა, განი ბიჭებო, განი! ხალხო, გავატაროთ ეს ქალბატონი, დათოს დედაა, დავით ყიფიანის დედა...

და გაიყო შეჯგუფული ხალხი ორად...

მე თავჩაქინდრული ვმალავ სახეს და უკანმოუხედავად გავრბივარ.

- დათოს დედა! დათოს დედა! - მომძახიან აქეთ-იქედან, ვილაცამ ტაშიც შემოკრა.

აპყენენ დანარჩენებიც და ალმურმოდებული, ტაშის გრიალში აღმოვჩნდი მოედანზე.

- აქეთ, ქალბატონო, თქვენს შვილთან ფოტოკორესპონდენტია მოსული. სურათს უღებს, მიმასწავლა მაიორმა და წინ გამიძღვა.

და აი, ანურული ბიჭი, ჩემი „ბემბი“ - ახლა უღვაშა, ხარ-ირემი ათიოდ ნაბიჯზე დგას მოშორებით, ბურთებით სავსე ბადე მხარზე გადაუგდია. მის წინ ჩაჩოქილა ბონდო დადვაძე და სურათს უღებს.

მაიორს ამოვეფარე.

- მაპატიე, დათო, დედათქვენს უარს ხომ ვერ ვეტყვოდი?

დათოს გაელიმა იმ ღიმილით, დედის ხსენებაზე რომ უნათებდა სახეს. ბონდომ ჩაჰკრა აპარატს და აღბეჭდა ფირზე.

ჩვენი ჟურნალის გარეკანზე მრავალჯერ დაბეჭდილა სახელმოსვეჭილი ადამიანის პორტრეტი. ყოველი მათგანისათვის მადლობის ზარი, წერილი მიგვიღია. დავით ყიფიანის პორტრეტმა მოლოდინს გადააჭარბა. ჟურნალის ორმოცდაათი ათასი ტირაჟი თვალისდახამხამებაში გაიყიდა.

მას შემდეგ, მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა. ჟურნალის ეს ნომერი კარადის თაროზე აქვს გამოფენილი ქალბატონ ციალას, ოთხი ოთახი გავსებულია სხვადასხვა ავტორების მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებული დათოს პორტრეტებით.

- ამ სურათზე ლომივით ამაყია ჩემი შვილი - ბიჭის მამაა, გვერდით ჰყავს თავისი გულისსწორი - გვიამბობს დედა... აქ გამხნევებული, ასეთი ბედნიერი იყო, როცა ქვეყანას მოველინა მისი ძმა - გოგი ყიფიანი, როცა გაჩნდნენ მისი შვილები, ლევანი, ნიკუშა, გიორგი ყიფიანები. ძმისშვილები ქეთინო და დავით ყიფიანები. ამ ფოტოზე ნაღვლიანი და გულგატეხილია, აქ - გულმკვდარი - დედა ენაცვალოს, ღმერთმა უწყის, თავს რა არ გადახდომია, ამ სურათზე ორმოცი წლისაა, ჯერ სათვალეს არ ხმარობდა. აქ კი სათვალეშია. ეს ფოტო გამორჩეულად მიყვარს, იგი ყველგან დამყვება - გარეთ, შიგნით, სასტუმრო ოთახში, სამზარეულოში, საძინებელში... მაგრამ ამ სურათებში ყველას მაინც ეს მირჩევნია. - ამბობს ქალბატონი ციალა და „დროშის“ გარეკანზე აღბეჭდილ ფოტოზე მიგვანიშნებს. ეს ფოტო შავბნელ ფიქრებს მიქარვებს... გზა სავსეა მოულოდნელობებით, ფათერაკებით, მაგრამ მე ახლა ამის შიში არა მაქვს. ცვარ ცრემლსაც არ ჩამოვაგდებ, დათო გზაზეა...

... შუაღამეა, კარზე ზარია! ეს დათოა! ამ დროს ბრუნდება იგი ქუთაისიდან, ვდგები. კარის გასაღებად მივეშურები. ვიცი, კარს უკან ჩემი დათო დგას, პირმცინარი, როგორც ამ ფოტოზე, გულგაკეთებული, გულმიცემული, წახალისებული - თამაში მოიგეს - „ტორპედოელებმა“. ეს ფოტო შავბნელ ფიქრს მიქარვებს. ამ ფოტოზე ოცდახუთი წლისაც არ არის ჩემი დათო... ჯერ დიდი გზა აქვს, შორს, შორს არის ფათერაკი, ჯერ ყველაფერი წინა აქვს დათოს!



ციალა არდაშელია



ღესი და ჰანკუ

...ერთხანს მიყურებდა მოჭუტული თვალებით. თუმცა მითხრეს, თვალცი ჩინებულად უჭრის და სმენაც მახვილი აქვსო, მაინც ისე წავადექი თავზე ისლით გადახურული სამზადის აბარნაზე (აივანი), ჯორჯოზე ჩამომჯდარს და კალათის წნაში გართულს, რომ ჩემი მიახლოება არც გაუგია.

აიზეზურა, მერე ახალუხის შესხნილი ღილილოები ყანყრატომდე შეიბნია, მეგრული მეჯოგეების ტრადიციული ქუდი გაისწორა თავზე, თოვლივით თეთრ, მოკლედ შეჭრილ წვერზე ხელი ჩამოისვა და თავაზიანი ღიმილით შემოიპატიჟა ოდა-სახლში. აგერ, აქ, თქვენს შორიახლოს მირჩენია-მეთქი, ვუთხარი და სამფეხა სკამზე ჩამოვეჯექი.

მდუმარედ შევცქერი ამ ას წელს გადაცილებულ ბერიკაცს.

გამოხუნებული ცისფერი თვალებიდან თითქოს სულ სხვა სამყარო გიმზერს - მიღმიერი, შეუცნობი, საკვირველი. ამ თვალებში ჩაგუბებულა უნაპირო, უკიდევანო სევდა - მკრთალ ღიმილში დაფერილი. მოხუცის თვალები იღიმიან, მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი ღიმილი...

აი, ეს თვალები ჩამრჩა ხსოვნაში ყველაზე მეტად ერთიანად დანაოჭებულ, მოგრძო სახიდან და დაშაშრული, კანდამსკდარი, გრძელი თითები, მჭკნარ და გაყვითლებულ თუთუნს რომ მიუგავდა, და ისიც, თუ როგორ ეჭირა ლარჭემი (სალამური) ამ თითებს, როგორ ესათუთებოდნენ ისინი საკრავს.

წინათ ლარჭემს ქორწილებში, ღამისთევებში, ხატობა-დღეობებში და ჭიაკოკონობა ღამეს უკრავდნენო, - მიაბობს ბერიკაცი. ადრე ლარჭემი იყიდებოდა თურმე ხობის ბაზრობა-„ხობალა“-ს, რომელიც იმართებოდა აგვისტოში, მარაშინა (მარიამობა) დღეს ხობის მონასტერთანო. მე არასოდეს გამიყიდა ლარჭემი, ბაბაია, მარტო ჩემთვის ვთლიდი და ჩემი ბიჭებისთვისო. ახლა უკვე კაი ხანია, აღარ ვაკეთებ, ბაბაია. საამისო ღონე არ მაქვს და არც თვალი მიჭრის ძველებურადო. ხოლო კარგი ლარჭემი რომ გამოგივიდეს, საგანგებოდ უნდა შეარჩიო ღეროები, მათი სიგრძე-სიგანე, ზომა.

შემდეგ ღეროები ხმის მიხედვით უნდა აანყო.

ცოცხალი მელარჭემე პირველად ახლა ვიხილე. არც ლარჭემის ხმა მომისმენია ოდესმე.

ოდა-სახლიდან გრძელ, თაღს კაბაში გამოწყობილი, ასევე თაღსი თავსაფრით თავწაკრული პატარა ტანის, გამხდარი, მოხუცი ქალი გამოვიდა.

წამოვუდექი და ისე ვუთხარი გამარჯობა. დედაბერიც ღიმილით, უფრო სწორად, ჩავარდნილი, უკბილო პირის ცმაცუნით და თავის კანტურით მომესალმა, მერე გვერდით მიუჯდა მეუღლეს და მხრებჩამოშვებული, კალთაში ხელებჩაწყობილი უხმოდ მომჩაჩერდა.

შენწყვეტილი საუბარი განვაგრძეთ, პანტე ბაბუას ბიჭებიც უკრავდნენ თურმე ლარჭემზე და მღეროდნენ. ერთად რომ დავხსდებოდით, დაკვრას და სიმღერას რომ დავიწყებდით, ქვემოთ, ჯვარში ესმოდათ:

- ასე არ იყო, თოლიგე? - მიუბრუნდა პანტე ბაბუა მეუღლეს. მან თავის ოდნავი დაქნევით და ძლივსშესამჩნევი ღიმილით კვერი დაუკრა ქმარს.

ღმერთო! როგორ ტყუპებით ჰგვანან ერთმანეთს! ბებია დესისაც ცისფერი, წყლიანი თვალები აქვს. დაღუულ სახეზე ეს თვალებილა შერჩენია ცოცხალი, მეტყველი. ხორცისაგან გაცილლ სხეულს სული დაპატრონებია თითქოს - უწონო, გამჭვირვალე სული, და მიღმიერი სამყაროდან მზირალი ორი პანია სარკმელი-ჭუჭრუტანა.

ბაბუა პანტე ენაწყლიანი ჩანს, დესი ბებია კი სიტყვაძვირი, სამაგიეროდ, მისი თვალები მკაფიოდ მეტყველებენ. პატარა ხანში ჩემ წინ ტაბლა გაჩნდა, მერე დოქით „ოჯალემის“ ღვინო. ნამდვილი „ოჯალემის“ ღვინო მომართვა დესი ბებიათ.

უხმაუროდ, ნელა, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებსო, ისე დაფარფატებს მისი ძვალტყავად ქცეული, სიფრიფანა სხეული; ასე გგონია, საკმარისია, სული შეუბერო და... ბაბუანვერასავით გაქრება, გაიფანტება, ჰაერში დაიშლება უმცირეს ნაწილაკებად.

თანდათანობით მოაქვს ხილი, ჯანჯუხა, ტკბილისკვერი. მერე ფელამუშიც. რაკილა უარი არ გამოვიდა, ვნებდები ბებია დესის მასპინძლობას.

მერე, წესისამებრ, ვადღერძელებ პანტე ბაბუას და დესი ბებიას, მათ შვილებსა და შვილიშვილებს - შვილებს, როგორც ცოცხლებს, ისე ვუდღერძელებ, ცხადია, რადგან ვიცი, რომ შვიდივე ვაჟი ომში ჰყავთ დაღუპული, მაგრამ დღემდე ელოდება მათ ცოლ-ქმარი.

ვის სჭირდება ახლა ლარჭემი? ვინლა უკრავს ლარჭემზეო? - უკვირს ნამწყემსარ ბაბუა პანტეს და მაინც, როცა ვთხოვე, ხათრი ვერ გამიტეხა და დაუკრა.

გუსმენ, თან თვალს ვაპარებ დესი ბებიასკენ. მის შორსწასულ მზერაში დრო და დრო რალაცნაირი უცნაური შუქი გამოკრთება, თითქოს ღიმილს ჰგავს იგი და აღარც არის ღიმილი...

თვალებზე ცრემლი მადგება. არის რალაც არამინიერი, არაამქვეყნიური ამ თვალებში და იმ უჩვეულო მელოდიაში, ასე საგულდაგულოდ რომ გამოჰყავს მოხუცს ბაგით ლარჭემზე: წამით, თითქოს წაიშალა დროის

საზღვარი; თითქოს უშორესი, წარმართობისდროინდელი ბერიკაცი მუსიკის ერთ მესტიყვება იმ გარდასულ ხანაზე, როცა „ჟინი ორთას“ - არსთა გამრიგეს შესთხოვდნენ მონყალეზას, სიკეთეს, ზვავს და გამრავლებას...

ამ ჰანგში შეიგრძნობა აგრეთვე რაღაც ერთ უთქმელი სევდა და სინანული დრო-ჟამის მდინარეებში ჩაქარგულსა და მინავლებულზე, იმაზე, რაც არასდროს მობრუნდება, არასდროს განმეორდება, სულის ხვეულებსა თუ მის ფსევრზე დაღეჟილ იდუმალ სსოვნაზე...

და დგას ამ ოდნავ გამოხუნებულ ცისფერ თვალეზში კაეშნიანი დარდი თუ წუხილი, რისი გამოთქმაც ენას არ ძალუძს, სიტყვა უღონოა და უძღური, რასაც მხოლოდ ტკივილამდე შეკუმშული გულის შეყონებული ფეთქვა და ძარღვეზში სისხლის უჩვეულო ჩქამი თუ გამცნობს.

... „სოფელს რომ აყრიან, ამ დიდებულ, მოჩუქურთმებულ აივნიან ოდას ნეტა რაღას უზამენ? - ვფიქრობ გუნებში, - ალბათ, დაშლიან სახლს და ისე წაიღებენ. ეგება ახალი სახლი ამჯობინოს პატრონმა ძველს. ეგება...“

ათასი „ეგება“ მიტრიალებს თავში, მაგრამ ხმამაღლა არაფერს ვამბობ. ბოლოს მინც მძღვეს ცნობისმოყვარეობა და თითქმის ჩურჩულით ვეკითხები, სოფელს რომ აყრას უბირებენ, თუ გაიგეთ, ბაბუა პანტე-მეთქი.

- კი, ამბობენ. - ბაბუა პანტეს თვალეზი უვიწროვდება, ჩიბუხი ხელში უცივდება.
- ამბობენ, კი, - იმეორებს ყრუ, უსიცოცხლო ხმით და მერე მაგრად ქაჩავს ყალიონს:
- მარა მე... არსად ვაპირებ წასვლას აქედან, ბაბაია.
- როგორ თუ... - დავიბენი. სიტყვა გამიწყდა.

ახლა ბებია დესი ერევა საუბარში:

- ნანაია შური! ჩვენს ბიჭებს აქ ხომ უნდა დავხვდეთ, სქან სანთელი! აქედან როგორ წავალთ!..
- კი მაგრამ, აქ ტბა უნდა დადგეს და ელექტროსადგური აშენდეს! - ველარ ვამბობ ბოლომდე სათქმელს. გაოცებისა და სინანულის გრძნობა მეუფლება.

- ამბობენ კი... - იმეორებს კვლავ ბაბუა პანტე ისეთი ხმით, თითქოს ეს ამბავი მას სრულებით არ ენება. თვალეზი უშტერდება.

- მე და თოლიგე აქ ვრჩებით, სქან სანთელი. აქედან ფეხს არ მოვიცვლით, - ბებია დესი უმანკო, უცოდველი თვალეზით მომჩერებია.

- იახა, იახა (დიახ). მასეა მაგი! - უდასტურებს მეუღლეს პანტე ბაბუა თავის ქნევით და განაგრძობს წყნარი, აუჩქარებელი ხმით:

- მე და ჩემი ქალი ახალ ადგილს აწი ვერ შევეგუებით, ბაბაია. ვერც ჩვენი მიცვალებულეზის საფლავებს მივატოვებთ... ჩვენი ბიჭები რას გვეტყვიან, როცა დაბრუნდებიან, როგორ შეგხედოთ იმათ თვალეზში? აარა. ჩვენ - მე და თოლიგე აქედან არსად წავალთ. ჩვენ - მე და ეგ - აქ დავრჩებით!

თვალეზი დაეხანე, გული მენურება.

ვაგლახ! ამ ქვეყნისანი აღარ არიან ეს საცოდავები. როგორი დაღეულები, უსუსურები, უმწონი ჩანან ახლა ეს მოხუცებული ცოლ-ქმარი. განა ძალუძს ამ სუსტ მხრებს აზიდონ ის ახალი ტვირთი სიმძიმისა, რაც ბედისწერას გაუმზადებია მათთვის?

ჩვენ აქედან არ წავალთო! ჰმ! შეიძლება განა ამ საწყალი ბებრებისათვის ახლა იმის თქმა, ამაოა თქვენი განზრახვა, უღმობელი გარდაუვალობა და აუცილებლობა ზვავივით მოგორავს და მას წინ ველარაფერი დაუდგება. როგორ შეაჩერებს ამ „მეწყერს“ ბაბუანვერასავით უსუსური ბერი დიაცისა და ბერი კაცის ნება-სურვილი? ვინ არიან, ანდა რას წარმოადგენენ ამ „აუცილებლობის წინაშე“ ისინი?

„უკანასკნელი მელარქემე განწირული სოფლიდან!“, - გავიფიქრე უნებურად გულისტკივილით და წარმოვიდგინე, როგორ სახეს მიიღებდა ჩემი რედაქტორი, ასეთი სათაურით თუ მივუტანდი წერილს.

აქეთ წამოსვლისას ვფიქრობდი, სურათებს გადავუღებ ამ განწირულ სოფელს-მეთქი... მაგრამ უქმად მივიღაი მხარზე ნათხოვარი ფოტო-აპარატი. და ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს მომაკვდავის სასთუმალთან ვიდგე და წუთი-წუთზე ველოდებოდე მის აღსასრულს. თუმცა კი, მომაკვდავსაც და მეც თავი ისე გვიჭირავს, სიკვდილი აქვე, ახლოს, კარის ზღურბლთან კი არ იყოს მოძუძგურებული, არამედ სადღაც შორს, ცხრა მთას იქეთ...

...თემშარაზე გამოსული, ვინრო გზა-ბილიკს ჩაუყევი. თვალწინ კვლავ მოხუცი ცოლ-ქმარი მიდგას, მათთან საუბარს და განშორების სცენას ისევ ისე განვიცდი...

უცებ, რაღაც სიმღერის მსგავსი მომესმა. შევდექი. მივაყურადე. შორიახლოს, ბორცვზე სასაფლაო იყო. იქიდან მოდიოდა ეს მოთქმა. ურუანტელმა დამიარა ტანში.

- შვილო, ჩემო ერთადერთო ნუგემო, ჩემო თვალის ჩინო, - გოდებდა ქალი - ნუ გეშინია, დედა შემოგველოს, არ დაგტოვებ აქ, შემოგველე, ზურგზე მოვიკიდებ შენს კუბოს და თუ მანამდე სული არ ამომხდა, ახალ ადგილზე დაგასაფლავებ, შვილო, დასაფლავდეს და მინა დაეყაროს მალე უბედურ დედაშენს. ბებია და ბაბუასაც გადაეცი, შვილო, ბიძებსაც უთხარი, არ იდარდონ. არც მათ დავტოვებთ აქ! არც მათ ჩავძირავთ წყალში, იმათაც ზურგზე მოვიკიდებ და აქაურობას მოვაშორებ, ვაი, ჩემს დღეს უბედურს, ვაი, ამ დღის მოსწრებას...

...თვალწინ დამიდგა ზურგზე კუბოებაკიდებული შაოსანი ქალები, ასაკიბ-დასაკიბ დაღმართს რომ ჩამოუყევიან ხვნეშით და ვიშვიშით. მათი საზარელი მოთქმა-გოდება ყურში ხმიანობს. მერე თითქოს, სასაფლაოდან ერთბაშად წამოიშალნენ მიცვალებულეზი: „ღვთის გულისათვის. ღვთის გულისათვის... არ დავტოვოთ აქ, გვეყოფა ერთი სიკვდილი. ახლა წყალს ნუ მისცემთ ჩვენს ცხედრებს!

გვიშველეთ! გვიხსენით: გადაარჩინეთ ჩვენი საფლავები!“

ისე ცხადად და მკაფიოდ ჩამესმოდა მიცვალებულთა სასოწარკვეთილი ვედრება, ისე გამალებით, ძვლების რაჩხუნით, დაკურუნხული ხელების სავსავით, ბუდამდე გადმოცვენილი თვალეზით მოიწვედნენ ისინი ჩემკენ, რომ სუნთქვა შემეკრა, თვალთ დამიბნელდა... და ერთბაშად თითქოს სადღაც წვეარამში ჩავიძირე...

გონს რომ მოვედი, ლურჯი, გამჭვირვალე ცარგვალი დამცქეროდა. გარშემო სამარისებური სიჩუმე იდგა. უცებ ხის ტოტიდან ჭახჭახით გადაფრინდა შაშვი. ეს იყო და ეს.

მერე ისევ დუმილმა დაისადგურა.

ფოტო სტუდია



მელოდის კოსტუმის



Ձեզնեմք Ձեր համար
զորք հեղուկ
հարմար զարգացնուի



თამარ ცინცაძე

ძალი თანამედროვე სამყაროში

თქვენმა კითხვამ, თუ რა იყო ყველაზე გაბედული ნაბიჯი თუ გეგმა ჩემს ცხოვრებაში, ჩამაფიქრა. წიგნით გადავიკითხე ჩემი ცხოვრების ფურცლები - ბევრი გაბედული ნაბიჯი გადამიდგამს. სხვადასხვა ეტაპზე ყოველი მათგანი გადამწყვეტი იყო. ქრონოლოგიურად სურათი დაახლოებით ასეთი იყო:

8-9 წლისამ კატეგორიულად ვთქვი უარი, რომ ჩემთვის მეურვეობა მომვლელს გაენია - (დედა მუშაობდა).
12-13 წლისამ უარვყავი დედის ზედამხედველობა.

თუმცა სკოლის დამთავრების შემდეგ ვაპირებდი უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე გამოცდების ჩაბარებას, გამოცდებამდე 1-2 თვით ადრე მკვეთრად შევიცვალე გადამწყვეტილება - სასწრაფოდ შევუდექი ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებას, და ამის შედეგად უცხო ენების ინსტიტუტში აღმოვჩნდი (რომლის დამთავრება არასოდეს მინანია).

სტუდენტობისას, 18 წლის ასაკში ისევ გაბედული ნაბიჯი გადავდგი - გავთხოვდი (რაც შემდეგ ვინანე). ერთი წლის შემდეგ გოგონა მეყოლა.

შემდეგი გაბედული ნაბიჯი ჭირვეულ ქმართან განქორწინება იყო (ეს არასოდეს მინანია).

ამასობაში ინსტიტუტი ფრიადებზე დავამთავრე და გაბედულად იმ დროს მოდურ კიბერნეტიკის ინსტიტუტში მივედი, სადაც მაშინდელმა დირექტორმა, მკაცრმა ვ. ჭავჭავანიძემ მაშინვე მიმიღო თარგმანების განყოფილებაში.

გავიდა 1-2 წელი. შეჩვეული სამუშაო და კოლეგები მივატოვე, უცხო ენების ინსტიტუტში დავბრუნდი ორწლიან უმაღლეს კურსებზე, რომლის დამთავრებამ გზა გამიხსნა უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიური მუშაობისათვის.

პატარა ბავშვით და მუშაობით დატვირთული გაბედულად შევუდექი საკანდიდატო დისერტაციის დანერგას, თანაც საქართველოში ნაკლებად ცნობილ თემაზე - აფრო-ამერიკული ლიტერატურისა და კულტურის თაობაზე, რომელიც ორ წელიწადში დავიცავი მოსკოველი და თბილისელი რეტროგრადი მეცნიერების გარკვეული წინააღმდეგობის დაძლევით. წამყვანი ოპონენტი კეთილგანწყობილი ბ-ნი მიშა კვესელავა იყო. მასსოვს, იოსებ ნონეშვილი "დესერტაციაზე" რომ მესტუმრა, ხმამაღლა მკითხა, მითხარით, მართლა არსებობს ასეთი ლიტერატურა და მის ირგვლივ კრიტიკა, თუ ყოველივე ეს თქვენ მოიგონეთ ორიგინალური დისერტაციის შესაქმნელად? 70-იანი წლების დასაწყისი იყო, ჩვენში აფრო-ამერიკულ ლიტერატურას მწერლებიც კი არ იცნობდნენ.

ვაგრძელებდი პედაგოგიურ საქმიანობას, დედის და ძიძის დახმარებით ბავშვის ზრდას, სამეცნიერო წიგნებისა და სტატიების წერას, კონფერენციებში მონაწილეობას, მოგზაურობას იმ წლებში, როდესაც საზღვარგარეთ წასვლა დიდი პრობლემა იყო და პარტკომის ხელმოწერა წყვეტდა შენი მოგზაურობის ბედს (ამის არაერთი მაგალითი მქონია ცხოვრებაში), მაინც ვინახულე პოლონეთი, გდრ, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, ეგვიპტე, იორდანია, სირია, ინდოეთი (ეს უკანასკნელი არა ერთხელ), ინგლისი, აშშ, შუა აზია, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთ-უკრაინის მრავალი ქალაქი და ა.შ.

გატაცებული ვიყავი ხელოვნებით - ფერწერით და მუსიკით, და ამ ჰობიმში ოპერაში შემახვედრა ჩემი მომავალი მეუღლე, რომელზედაც გათხოვებას ნამდვილად ყველაზე გაბედულ ნაბიჯად ჩავთვლიდი ჩემს ცხოვრებაში, ვინაიდან საზოგადოებისთვის უკვე იმ დროსაც ცნობილი ადამიანი ძალიან რთულ პიროვნებას წარმოადგენდა. მოვიხიბლე მისი ინტელექტით და გარეგნობით. გაფრისკე.

რთული ქორწინების და ოჯახური ცხოვრების ფონზე განვაგრძობდი პედაგოგიურ მოღვაწეობას. დავაპირე სადოქტორო დისერტაციის დანერგა. მეუღლემ არ მირჩია, გაგიჭირდებო, მთელ დროს და ძალას წაგართმევს, ვინაიდან საქმეზე გადაყოლა იცოო. სწორი აღმოჩნდა - ათი წლის განმავლობაში ხან ინტერვალებით, ხან კი ძალიან ინტენსიურად ვმუშაობდი სადოქტორო ნაშრომზე. სიმწიფეები ძირითადად მოშუშრუნების მიერ ხელოვნურად აღმართული დაბრკოლებები იყო, რამაც უკეთესად დამანახა ადამიანის ბუნების საიდუმლო მხარეები, მისი ცბიერება, სიბოროტე და სისასტიკე.

ყოველივე ეს ზოგიერთებს მოტყვავდა, სხვებს კი (მათ შორის მეც) გაამაგრებდა,

განამტკიცებდა თავიანთ გადაწყვეტილებაში. ამგვარად მეორე დისერტაცია უფრო პროფესიულ გარემოში - მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში დავიცავი, თანაც პირველივე ცდიდან, რაც, თვით სამეცნიერო საბჭოს აღიარებით, კარგა ხანია არ მომხდარიყო იმ საბჭოზე და ფაკულტეტზე (ზოგიერთ დისერტანტს 4-5-ჯერ უხდებოდა გაუმჯობესებული ტექსტის წარდგენა).

გაბედულად გავგზავნე დისერტაცია "ვაკ"-ში, საიდანაც ერთ წელიწადში, ვაი-კოლეგების ანონიმური წერილების ნაკადის მიუხედავად, დამტკიცება მივიღე, გავხდი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი-ამერიკანისტი.

ერთდროულად მრავალმხრივ საქმიანობას შეჩვეულს, დისერტაციის წერა-დაცვაში, მგზავრობებში და კონფერენციებში მეორე შვილი შემეძინა - ვაჟი, რომელიც დღეს 26 წლისაა. ამ ვითარებას თან ახლდა კურობული ეპიზოდი. ჩვეული გაბედულობით (რომელიც მარტივად შეიძლება შეფასდეს როგორც წინდაუხედაობა) სამშობიაროში გავიყოლე მასალები სტატიისათვის, რომელსაც, ვიცოდი, ჩილი ბავშვით ხელში დიდხანს ვერ დავწერდი. ბავშვის გაჩენის შემდეგ წერას შევუდექი. ვწერ, პერსონალი გარშემო მიტრიალებს. შევამჩნიე, ოთახში კომფორტმა იმატა, გაჩნდა მაცივარი, ფარდები, დამატებითი ნივთები, იმატა ყურადღებამ. ბოლოს მკითხეს, რას წერთო. ვუპასუხე, სტატიას უწრნალისათვის. შევბით ამოისუნთქეს, საჩივარი გვეგონათ. ისეთივე ტემპში ნივთები გააღაგეს ოთახიდან. სამშობიაროში ნაშობი სტატია უწრნალ "ცისკარში" გამოქვეყნდა.

რუსული სკოლა დავამთავრე. ამიტომ თავდაპირველად სტატიებს და ნიგნებს რუსულ ენაზე ვწერდი, ვერ ვებედავდი ქართულ ენაზე მასალის შექმნას. რუსულენოვანი უწრნალების მცირე რაოდენობა არსებობდა. ამიტომ ვიგრძენი სტატიების ქართულ ენაზე დანერის აუცილებლობა. ერთ-ერთ უწრნალისტს გადავეცი ჩემი სტატია ქართულ ენაზე გადასათარგმნად. მივიღე თარგმანი და აღმოვაჩინე მასში უამრავი შეცდომა და უზუსტობა. შევთავაზე მთარგმნელს ჩემი ვარიანტები. იწყინა, ქართული თუ ასე კარგად იცოდით, თქვენი მასალა რატომ მთარგმნინეთო. ამის მერე გაბედულად დავინყე ნაშრომების ქართულ ენაზე წერა. ჩემს ვრცელ პუბლიკაციებს უწრნალ "პოლიტიკაში" და მანამდე, ზოგიერთ სხვა უწრნალ-გაზეთში საკმაოდ დიდ გამოხმაურება მოყვა ("ვაშინგტონური ჩანაწერები", "პაპი იოანე პავლე მეორე", "არჩევნები აშშ-ში: სახეები და სიტუაციები", "ენა, როგორც კაცობრიობის ისტორიის ანარეკლი", "პისიდიზმი: ფილოსოფია და ცხოვრებისეული მრწამსი", "ენა და ენობრივი პოლიტიკა: ინგლისური ენა თანამედროვე სამყაროში", "პოსტ-საბჭოური ქალის სახე პრესაში და დისკუსიები" და სხვ.).

რამდენჯერმე დავაპირე სტატიებზე გამგზავრება ინგლისსა და შეერთებულ შტატებში. ისევე მირჩია მეუღლემ, შეეშვიო, არ გამოგივა, ასეთ ვაკანსიებზე ბევრია ჩასაფრებულიო. მაგრამ 1983 წელს ერთი სემესტრით ინგლისში გავემგზავრე, 1989-91 წლებში კი აშშ-ში, ვაშინგტონის ცნობილ ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში და ნიუ-იორკის ცნობილ კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც ხუთი თვის განმავლობაში ვმუშაობდი ამერიკული კულტურის შესწავლის ცენტრში პროფესორ ჯეკ ზოლცმანის ხელმძღვანელობით. ერთდროულად ვინახული ატლანტის, ვაშინგტონის, ბოსტონის, ლიტლ-როკის, სანტა-კრუზის, ლოს-ანჯელესის, სიეტლის, ჰარვარდის უნივერსიტეტები, სადაც ლექციებს ვკითხულობდი ორი განსხვავებული განხრით: ერთის მხრივ, აფრო-ამერიკული ლიტერატურისა და კულტურის შესახებ, მეორეს მხრივ კი - საქართველოს ისტორიის, კულტურის, ხელოვნების, რელიგიის შესახებ.

იმ დრომდე არასოდეს წამეკითხა ლექციები ამერიკელთა აუდიტორიისთვის. ამ პირველმა გაბედულმა ნაბიჯმა მიმიყვანა შეერთებული შტატების არა ერთ ქალაქში ლექციების წასაკითხად თუ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. ასევე აღმოვჩნდი სორბონაში, პარიზში მოხსენებით, ამერიკანისტთა კონგრესზე თემაზე "აფრო-ამერიკელები ევროპაში".

1989 წელია. ვაშინგტონის ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში სტატიების შემდეგ გავემგზავრე ნიუ-იორკში. შევხვდი ხანდაზმულ შავკანიან ამერიკელ მწერალს ელტონ ფაქსს, რომელმაც შემდგომ წინასიტყვაობა დანერა ჩემი ნიგნისათვის აფრო-ამერიკული ლიტერატურის შესახებ. ჰარლემისკენ წავედი. პირველად ვარ შტატებში, პირველად ნიუ-იორკში, პირველად ჰარლემში. განვიმდა, ელტონმა თქვა, მეგობრის სახლში შევიაროთო. გაბედულად (და, როგორც მომეჩვენა, უადგილოდ) ვკითხე, ხომ არ ვიცნობ იმ მეგობარს. გაკვირვებით შემხედა - არა მგონიო. იღება კარი, და ვხედავ ქალბატონს, რომლის სახე მეცნო. ვეუბნები - მგონი, გიცნობთ, იოსებ ნონეშვილთან შევხვედრივართ. ჩემი უადგილო, გაბედული კითხვა დროული აღმოჩნდა. ჯინ ბონდთან დღემდე მაქვს ახლო ურთიერთობა.

1994 წ. შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს გაბედულად შევთავაზე ერთ-ერთი ჩემი აფრო-ამერიკული პროექტი ვაშინგტონის ცნობილ ვუდრო ვილსონის ცენტრს (კენანის ინსტიტუტს). ყოველ პროექტს "საცერში ატარებენ" მრავალრიცხოვანი მკაცრი ჟიურის წევრები, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა შტატის უნივერსიტეტებში და კვლევით ცენტრებში მუშაობენ. დასკვნებს კენანის ინსტიტუტს ფოსტით უგზავნიან. 6 თვეში მივიღე დადებით პასუხი - გავხდი კენანის ინსტიტუტის მკვლევარი. აღმოჩნდა, რომ ჩემამდე ინსტიტუტში საქართველოდან მხოლოდ ერთი მეცნიერი ყოფილა - ფილოსოფოსი გია ნოდია.

არ შევეხები იმას, თუ რამდენად კარგი სამუშაო პირობები მქონდა კენანის ინსტიტუტში: ოფისი ტელეფონით, კომპიუტერით, ასისტენტით, სათანადოდ ანაზღაურებული შრომა, მგზავრობები, გასართობებიც კი. გავისხენებ ერთ ეპიზოდს. მე-16 ქუჩაზე, იმ სახლის გვერდით, სადაც ვცხოვრობდი, ეკლესია იყო. ერთხელ მოზღვავებული მანქანები შევამჩნიე. მითხრეს, კლინტონის ოჯახი ამ ეკლესიაში ესწრება წირვასო. მაშინვე ეკლესიისკენ წავედი. გამატარეს საგანგებოდ მოტანილ ელექტრონულ კარებში, გამჩხრიკეს, დამშვიდდნენ და შემიშვეს. ნახევრად სახვე ეკლესიაში წირვა დანწყებულიყო. მარცხენა რიგში დავჯექი. მიხვდი, რომ კლინტონებთან

საგარეო
მინისტროს
საგარეო
რელიგიური
და
საზოგადოებრივი
კავშირების
სამსახური

უფრო ახლოს აღმოვჩნდებოდი, მარჯვენა რიგში თუ გადავინაცვლებდი. ასეც მოვიქეცი მცველებს ეს მოძრაობა არ გამოეპარათ. მაშინვე მაღალი, ძლიერი, მუქ უნიფორმაში გამოწყობილი ქალი მომიჯდა. თვალს მადევნებდა, ხელები ჯიბეებიდან არ ამოულია. ვიგრძენი, დაძაბული იყო. გულუბრყვილოდ ვთქვი - როგორ გამიმართლა, საქართველოდან მეცნიერი ვარ და აი, საბედნიეროდ, კლინტონებთან ერთად აღმოვჩნდი ეკლესიაში. მოლბა. შეიძლება, უფრო გაგიმართლოთო; ხშირად, ამ გასასვლელით რომ გადის, ახლოს მჯდომთ ხელს ართმევსო. კარგია, ვუბასუნე, დავეუცადოთ, ნირვა თავდებოდა, ვფიქრობდი, როდესაც კლინტონი და ჰილარი მოგვიახლოვდებიან, ხელს თუ ჩამოგვართმევენ, მოახლოვებულ შობას მივულოცავ და ერთ ბეჭედს ვუსახსოვრებ, ჰილარის საშობაო საჩუქრის სახით. დარწმუნებული ვიყავი, არც ერთი ქართველი მეცნიერი არ ყოფილა ასეთ არაფორმალურ სიტუაციაში კლინტონებთან, და პატარა საჩუქარი სასიამოვნო ასოციაციას შეუქმნიდა კლინტონებს საქართველოსთან.

ნირვა დამთავრდა. კლინტონები გასასვლელისკენ წამოვიდნენ. მცველი ქალის მოთმინება დაცვადევ - გაბედულად ვუთხარი, მოდით ჩვენ თვითონ წინ წავინიოთ და მივესალმოთ-მეთქი. ხმა მაშინვე გაუმკაცრდა - არც კი გაბედოთ განძრევას, ადგილზე უნდა დაფრჩეთო. მიგხვდი, ხუმრობა არ ივარგებდა. კლინტონები არავის მიესალმნენ, ღიმილით ჩაუარეს რიგს. ყველა ადგილზე დარჩა. სანამ კლინტონები ამაღლის თანხლებით დაიძრნენ ადგილიდან, ეკლესიის ეზოში გავედი. დავინახე, ჩემი მეზობელიც ერთ-ერთ სამთავრობო მანქანაში ჯდებოდა. ხელი დავეუქნე იმის ნიშნად, რომ თავიდანვე ვიცოდი, ვინც იყო. გამიღიმა და მანქანა ადგილს მოწყვიტა.

ამის მერე კიდევ ერთხელ შევედი ეკლესიაში კლინტონების ყოფნის დროს, მაგრამ ამჟამად უკვე ვიცოდი, რა ადგილი უნდა დამეკავა თავიდანვე, მცველების ეჭვის და ლელვის გამოწვევის გარეშე. დღესასწაულებმა ჩაიარა და არანაირი საჩუქრების გადაცემაზე აღარ მიფიქრია. ყურადღებით ვუსმენდი მქადაგებელს. მოგვიანებით მეგობარმა გამაფრთხილა, 1-2 კვირის განმავლობაში შეიძლება მაინც გაკვირდებოდნენ, არ ალელდეო. სიმშვიდე იყო. ეკლესიასთან და კლინტონებთან დაკავშირებული რამდენიმე ეპიზოდი განსხვავებულ სამახსოვრო მომენტად დარჩა ჩემთვის.

ასევე გაბედულად წავედი ნიუ-იორკის ერთ-ერთ შორეულ უბანში აფრო-ამერიკელთა კონგრესზე, რომელიც მიემძღვნა ცნობილი შავკანიანი მქადაგებლის, შავ მუსულმანთა ორგანიზაციის წევრის და შავკანიან ამერიკელთა გამოჩენილი ლიდერის მალკოლმ იქსის ხსოვნას. ჩემი მეგობარი, "ამერიკის ხმის" თანამშრომელი, ჟურნალისტი მანანა ჯინჯიხაშვილი ჩემთან ერთად აპირებდა კონგრესზე წასვლას, მაგრამ მანანასთან იმ დღეს მოულოდნელი სტუმარი ჩამოვიდა, ამიტომ ჩვენი თავდაპირველი გეგმა შეიცვალა და მარტო გავემგზავრე.

შევნიშნე, რომ უშველებელ დარბაზში და ხალხმრავლობაში ერთადერთი თეთრკანიანი ვიყავი იქ წასვლის ცდუნებას ვერ გავეუძელი, ვინაიდან მალკომ იქსის შესახებ ბევრი რამ წამეკითხა და ორი წერილიც მქონდა დანეროლი, ერთი ჟურნალ "ცისკარში", მეორე კი - უკრაინული ლიტერატურული ჟურნალისათვის "ესესვეტი" (რომელშიც იმ წლის საუკეთესო მასალად იყო აღიარებული): გაბედულად ვიჯექე შავი სახეების ზღვაში და მოჯადოებული ვმთანთქავდი ყოველივეს. ისტებლიშმენტის მიერ შავკანიანი მკვლელების ხელით მოკლული სამსხვერპლო ფიგურად არის ცნობილი და მრავალ მწარე გრძობას იწვევს. ტრიბუნაზე ორატორს ორატორი ცვლიდა. თითქმის ყველა გამომსვლელმა, მათ შორის ცნობილმა პოეტმა ლეროი ქონსმა, მალკომ იქსის ქვრივმა და მალკოლმის მეგობარმა ქალმა ძალიან მწარე, თეთრკანიანების მიმართ სიძულვილით და აგრესიული მოწოდებებით აღსავსე სიტყვები წარმოთქვეს.

უეცრად ხიფათი ვიგრძენი, დარბაზში ერთადერთი თეთრკანიანი აგორებული მძვინვარების მოხერხებულ ობიექტს წარმოვადგენდი. ჩუმიად ავდექი, დარბაზიდან გავედი და სასწრაფოდ გავეცაღე იქაურობას. ტკივილს ვგრძობდი. საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ დარბაზში "უადგილოდ" მყოფი თეთრკანიანი ქალი არა ცნობისმოყვარე გამგლელი, არამედ საქართველოში ერთადერთი მკვლევარი ვიყავი, რომელმაც მიუძღვენი აფრო-ამერიკულ ლიტერატურას და კულტურას ორი დისერტაცია, წიგნები, სტატიები, მოხსენებები, მრავალი წელი და ჭეშმარიტი ინტერესი. მეორე დღეს "საერთაშორისო სახლის" თანამშრომელმა ელიტ შპიგელმა მკითხა კონგრესის შესახებ. მოყოლა დავიწყე და ჩემთვისვე მოულოდნელად ცრემლები გადმოვყარე. ელი სიტუაციას მიუხვდა, მითხრა, მსგავსი განცდა მეც მქონიაო, ებრაელებმა ბევრჯერ ცადეს შავკანიანებთან ერთად ბრძოლა და ერთობლივი ინტერესების დაცვა, მაგრამ კონტაქტი ვერ შედგაო. საუბედუროდ, ისტორია უღმობელია, განცდილი ტკივილი და დამცირება ამკაცრებს ადამიანებს, თანაგრძობის აღარ სჯერათ, ყველას ეჭვის თვალით უყურებენ. იმ დღის განცდამაც კი არ დამაკარგვინა ინტერესი აფრო-ამერიკული თემატიკისადმი. შავკანიანმა ამერიკელებმა შექმნეს ჭეშმარიტად დიდი ხელოვნება, მუსიკა, ლიტერატურა (ტონი მირისონის რომანები ნობელის პრემიით არის აღნიშნული). ამ ეპიზოდის შემდეგაც გაბედულად დავდიოდი შავკანიანთა სკოლებში, უნივერსიტეტებში, უბნებში. ადამიანში გაბედულება მეტია ვიდრე სიფრთხილე. ცხოვრება ამრიგად უფრო საინტერესო ხდება.

გავიდა წლები, სავსე შრომით, მგზავრობებით და ომებითაც. მკვეთრად ვგრძობდი ადამიანების (ვგულისხმობ კაცობრიობის უარეს ნაწილს) ბუნების ტრანსფორმირებას უარესსკენ, დანჭრილობას, გასასტიკებას. ასეთ ადამიანებში შენი შრომა და მიღწევები მხოლოდ შურს და სიბოროტეს იწვევს, რომელიც ინსტიტუტულიზებული სიავის რანგში აქვთ აყვანილი. ჩემს უამრავ საქმეს, შვილებს, დასუსტებულ დედაზე ზრუნვას, წიგნების და სტატიების წერას, კონფერენციებს და ა.შ. იძულებითი საპასუხო ბრძოლა თუ თავდაცვა დაერთო.

სიტუაცია გავაანალიზე და გადავწყვიტე, რომ ჩემი დრო და ძალა მეტისმეტად ძვირფასი იყო ჩემთვის, ჩემი ოჯახისა და საქმიანობისათვის. ძალზე გაბედული ნაბიჯი გადავდგი - ხაზი გადავუსვი ჩვეულ სამსახურს, გარკვეულ ურთიერთობებს, მკვეთრად შევცვალე ყოველივე ეს,

და მოგებული დაგრი. აღმოჩნდა მშვიდ, საქმიან ვითარებაში, კეთილგანწყობილი, გამგებიანი, პატივისცემით აღსავსე კოლეგების წრეში. და ყოველივე ვაჟე სულხან საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელთანაც დღესაც ვთანამშრომლობ. გარკვეულ მსჯელობებს შეგთავაზებთ გაბედულების თემაზე. იქნებ ამას სხვა სახელიც აქვს - უადგილობა, უდროობა, აჩქარება, გაუაზრებლობა, ან კიდევ სხვა რამ. ვიცი მხოლოდ, რომ ჩემს შემთხვევაში ყოველივე ზემოთ ნათქვამი უფრო რეალისტური განსჯის შედეგი იყო, ვიდრე გაბედულება. გაბედულებას უადგილობის ან, თუ გნებავთ, თავხედობის ქვეტექსტი გააჩნია. მე კი ეს თვისება არ მახასიათებს. ჩავთვალოთ, რომ ყოველივე ჩემს მიერ მიღწეული საკუთარი ცოდნის და უნარის რწმენას ეყრდნობოდა, და არა შემთხვევით მიღწეულ შედეგს ან გაბედულებას.

ცხოვრების გეზის (არა წესის) მკვეთრად შეცვლამ გამოიწვია შემდეგი, უფრო გაბედული ნაბიჯი - მეუღლესთან და რამდენიმე კოლეგასთან ერთად დავაარსეთ დღეს უკვე კარგად ცნობილი დიპლომატიური აკადემია, რომელიც 5-6 წელიწადში ვაქტივით სანიმუშო, ვფიქრობ (და ასევე ფიქრობს მრავალი სხვა, მათ შორის ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები, აკადემიის კურსდამთავრებულები), საქართველოში ყველაზე მაღალი აკადემიური დონის მქონე უმაღლეს სასწავლებლად. კარგი სასწავლებელი შევქმენით - ეს სათქმელადაა ადვილი. 6 წელი მოიცავს დაახლოებით 2200 დღეს. საკუთარ მეუღლესთან მუშაობა დანესებულებაში, რომელიც ცარიელ ადგილზე, ნოლიდან, უსახსრებოდ და უმფარველოდ შევქმენით, უსასრულო კამათად და ხანდახან დრამადაც იქცევა.

ჩემი მეუღლე თეორეტიკოსია, პოლიტოლოგი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი, და მხოლოდ შემდეგ მასწავლებელი და პედაგოგი. მე კი სწორედ პედაგოგიური განათლება გამაჩნია და აკადემიის დაარსების მომენტისათვის პედაგოგიური მუშაობის 25 წლის გამოცდილება მქონდა. მაგრამ რასაც არ ურჩევ, აკადემიის დამაარსებელი ყოველივეს კრიტიკულად უყურებს, 100 შემთხვევიდან 90-ს ჯერ მთლიანად უარყოფს, შემდეგ კი დიდი დაგვიანებით დაუბრუნდება ჩემს რომელიმე იდეას, მაგრამ დაკარგული დროის გამო მოსალოდნელ შედეგს ვეღარ ვაღწევთ.

ალბათ ასეთია ყველა ქალის ბედი, რომელიც საკუთარი მეუღლის ხელმძღვანელობით მუშაობს. ცდილობ საქმე გადავთო, დრო დაზოგო, პირდაპირი, უმოკლესი გზით მიდიოდე სასურველი შედეგისკენ, ყველაფერს თვალს ადევნებდე, არ გამოგრჩეს არც ერთი დეტალი, კოლეგებსაც სწორი აზრი და რჩევა მიანოდო, მრავალი სტუმარი მიიყვანო სასწავლებელში, მჭიდრო კონტაქტები დაამყარო მნიშვნელოვან ადგილობრივ თუ უცხოურ ორგანიზაციებთან, ინგლისურენოვანი მიმონერა აწარმოო, წერო პროექტები, შექმნა სასწავლო მასალა, სპეკურსები, ესწრებოდე ლექციებს და გამოცდებს, თავად გამოცადო ყოველი სტუდენტი, იზრუნო სტუმრების მიღება-გასტუმრებაზე, ადგინო გეგმები და ცხრილები, იყო კონტაქტში მშობლებთან, ზრუნავდე შენობის გარეგნულ იერზე, მის დიზაინზე, სტუდენტებზე, ფოტომასალაზე, ბიბლიოთეკის ფონდებზე, მრავალ სხვა წვრილმან-მსხვილმანზე, და ყოველივე ამასთან ერთად ცდილობ ჩრდილონი დარჩენას, რაც თითქმის შეუძლებელი ხდება.

და აი აქ, ამ წერტილში ძალაუფლებურად იზიარებ ფემინისტების მრწამსს, ემხრობი მათ ხანგრძლივ ბრძოლას იმისათვის, რომ თანაბარი ინტელექტის, შრომისმოყვარეობის, უნარის, სალი აზროვნების პირობებში ქალის შრომა ისევე შეფასდეს, როგორც მამაკაცის, მის შემოქმედებას ისეთივე საზომით აფასებდნენ, როგორც მამაკაცისას ჩვენი სამყარო ჭეშმარიტად მამაკაცის, ფიზიკურად ძლიერი სქესის სამყაროა. როდესაც მესმის "ძლიერი სქესი", მე აქ ფიზიკურ სძლიერეს ვხედავ უპირველეს ყოვლისა, აქ მამაკაცს ვერ (და არც) შევეჯიბრებთ. ისიც ნათელია, რომ მრავალ შემთხვევაში ქალი მორალურად, ფსიქიკურად თუ პროფესიულად მამაკაცზე ძლიერია, მისი აღიარება "სუსტი სქესის" წარმომადგენლად აბსოლუტურად მიუღებელია, ისევე თუ ფიზიკურ ძალას არ ვიგულისხმებთ.

ფემინისტური მოძრაობის უკიდურესობების გამო ფემინიზმს ვერ ვღებულობდი. გაღიზიანებით ვკითხვობოდი ფემინიზმის მიმდევრების ნაწარმოებებს, თავს ვარიდებდი მათ თავყრილობებს. მაგრამ დღეს, ახალი 6-წლიანი გამოცდილების შექმნის შემდეგ დავფიქრდი, მთლიანად უარსაყოფი თუ არის ფემინისტების ზოგიერთი იდეა და მოთხოვნა. ჩვენს საზოგადოებაში (როგორც გეოგრაფიულ - სოციალურ - ფსიქოლოგიურ რეალიაში) იმდენი სოციალური, პოლიტიკური, ფინანსური, საყოფაცხოვრებო პრობლემაა, რომ აღარავის ახსოვს ქალის პრობლემები - ფსიქოლოგიური, მორალური, პროფესიული თუ პირადი. ჩვენი საზოგადოების ცხოვრების თუ ყოფის სირთულეების სიღრმე ავიწყებს საზოგადოებას და თვით ქალსაც საკუთარ პრობლემებს (სწორედ ქალის თავგანწირვის, შინაგანი ტაქტის და ადამიანობის გამო). ქალი მთელი თავისი არსებით ახალი გენერაციის, ახალი სიცოცხლის, ოჯახის და ამიტომ საზოგადოების შემქმნელია. მასში შემოქმედებითი იმპულსი უფრო ძლიერია, ვიდრე დამანგრეველი თუ უკუგდებითი. ქალი სიცოცხლის წყაროა, და მას ქვეცნობიერად ესმის თავისი მაღალი დანიშნულება. მას არ სცალია წვრილმანებისათვის, მან უნდა იშრომოს და შექმნას ის, რაც მხოლოდ მისი შესაქმნელია. მან ხელი უნდა შეუწყოს ყოველივე სალის, სიცოცხლისუნარიანის დამკვიდრებას. და ის შრომობს ამის მისაღწევად, მიუხედავად იმისა, ფასდება თუ არა მისი შრომა სათანადოდ, აქებენ თუ უგულვებელყოფენ მის შრომას, ხედავენ თუ არა მის შედეგიანობას. ჩვენთვის, ქალებისათვის საბოლოო დადებითი შედეგი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ ვის აღიარებენ მიღწეულის არქიტექტორად მას თუ მამაკაცს. ასე იყო მრავალი საუკუნის განმავლობაში, და ასევე გავაგრძელოთ, ნუ დავწვრილმანდებით იმის გარჩევით, თუ სამყაროს ამ ორ საწყისში ვის ეკუთვნის პირველობა - კაცს თუ ქალს. მთავარია ის, რომ ვქმნიდეთ, ვზრდიდეთ, ვასწავლიდეთ, ვაშენებდეთ, ვხედავდეთ ჩვენი შრომის ნაყოფს, თუგინდ ამას სხვა თვლიდეს თავის მიღწევად.



მეჩაბ აბრამიშვილი



1957 დაიბადა ქ. თბილისში
1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

ძირითადი გამოფენები:

- 1988-90 მხატვრის სახლი, თბილისი
- 1989 ვარშავა
- 1990 ქართული კულტურის ცენტრი, პარიზი
მხატვრის სახლი, თბილისი
- 1993 გალერეა Artforum, ჰანოვერი, ბრიუსელი
- 1994 გალერეა ორიენტი, თბილისი
CA Global Futures AG, ვენა
- 1995 თანამედროვე ხელოვნების გალერეა, თბილისი
კულტურის ცენტრი, ბაქო
გალერეა TMS, თბილისი
- 1996 კულტურის ცენტრი, ბერლინი
Reinruhr Centre, ესენი
გალერეა Zeidel, კიოლნი.
- 1997 გალერეა Selmersheim, პარიზი
- 1999 მონპელიე
- 1997-2000 თანამედროვე ხელოვნების გალერეა, თბილისი
- 2001 პერსონალური გამოფენა, გალერეა „შარდენი“



ნამუშევრები ინახება:
სურათების ეროვნული გალერეა, თბილისი
პიტერ ლუდვიგის მუზეუმი, კიოლნი
გალერეა TMS, თბილისი
კერძო კოლექციები



ირმა შიოლაშვილი

იოახიმს

დღესაც ბაფხული ჩურჩულებს ჩემში
და იკაწრება მბერა, რომელიც
ხანდახან მარტო კაცივით ცხოვრობს;
თუ დამიყვავებ ერთ მშვენიერ დღეს,
რომ ჩამოვჯდე და ცის კაბადონს
ცრემლის დიდი სარტყელი ვთხოვო?!

თუ შეიბრალებ თითებს დაღლილებს,
საწყლად ჩამომსხდართ გამთრის ცინვაში
უსუსური ჩიტების გვერდზე...
დღეს, რა თქმა უნდა, ძალიან მომწონს,
როცა ყოველდღე აღტაცებული
ჩემს სულში ლამაზ ნიჟარებს ეძებ
და ტანში მღვრიედ სუნთქავს ბაფხული...

იანვარი, 2002, ბონი.

მაისი, 1999

რადაცნაირად გულგრილი გავხდი...
ერთადერთი, რასაც ვამჩნევ
კედელზე უშნოდ ატეხული
ოთხი ჩარჩოა
და ფერები - შეჭუჭკული
ჩარჩოს კუთხეში.
მენატრება საყვარელი
ქალაქის მგვერი,
(შავი მგვერი - მოუვლელი,
სადა ქუჩების),
...ვრეკავ უცხოელ მეგობართან,
რომლის ძარღვებშიც

დაედინება უცნაურად
ნარევი სისხლი,
(რომელიც კოსმოპოლიტია
და ერთნაირად ენაგრება
ბონიც და ჩიკაგოც)
და ვუყვები, რომ
ქალაქი, რომელიც მენაგრება
ძალიან ძველია და ძალიან სახიერი,
მაგრამ უცნაურად დაავალდა და
ადამიანებს ველარ პაგრონობს.

ბონი

ლოდინი - მიწის ნახევმი

ხომ მოხვალთ, მოდით.
მე მიწას ვკოცნი.
მე მიწას ვკოცნი.
და ცრემლებს ვახრჩობ,
ზეცა როდესაც თეთრ ფანგელს მოცრის,
დიდი სინათლე მყოფნია სარჩოდ.

მოდით. დღეს ჩემში ვიღაცა ბორგავს
და კივის მიწის აუხსნელ სახელს,
წარსული - ქალის ნაწნავებს მოჰგავს
და ქალის თვალებს სიამით ახელს,
და ქალი - მიწის ცრემლივით სუფთა
კანკალებს, როგორც დაჭრილი შველი,
მე წარსულს დიდი ფილტვებით ვსუნთქავ
და ქალიც ჟამის სუნთქვაში მშველის.
მე ვკოცნი მიწას და რადგან მიწა
კანკალებს ვნებით და ჟრჟოლა ახრჩობს,
ვაცილებ გულზე დარჯობილ ხიჭვებს
და მზიან ღიმილს ვუტოვებ სარჩოდ.
მოდით.

1995 წ.

* * *

მან დაწერა - ჰაერი მგკივა
და სულის რაფას
დაბინდული მზერა შეავლო.
ხოლო ხელები
მოგეხილი გოგვივით ეწყო
საკუთარი მუხლის თავებზე
და აქერცლილ თითებს შორის
ირწეოდა მოყვავილე
სიგყვის სინელდე.
ჰაერი კი გარდაცვლილი
ფერივით თრთოდა
გაფითრებულ და მზედანაგრულ
სულის რაფაზე.

1999. ბონი.

ორშაბათი

დატეხილია ჩემი თითები
და მზერა - ისე სევდიანი
რომ სიმზრებსაც გადააბრუნებს...

ჩემში მთავრდება ორშაბათის მშვიდი საღამო
და თითებიდან სისხლთან ერთად საღამო წვეთავს.
...ხოლო ის კაცი - ვინც ჩემს მზერას ძაფი გამოსდო
და გულზე ძაფის გორგალივით გადაიხვია,
დგას ორშაბათის ჩამოთოვლილ გზაგასაყარზე...
ჩემი ცხოვრება ორშაბათის შეჯამებაა
და აღარ ვიცი, რას მივინდო - ამ კაცის ღიმილს,
რომელმაც ჩემი სევდა გულზე გადაიხვია
თუ ბრძნულ ნათქვამს რომ
ორშაბათით იწყება კვირა
და ხვალე ყველა ორშაბათებს
ჩამოიტოვებს.

ბონი, 1999 წელი 6 ივლისი.



ფიქრები ლიტერატურასა და კიდევ სხვაზე...

ბეისაუბრება რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი გურამ ბენაშვილი.

- ბატონო გურამ, ვიცი, დღეს სენტიმენტებისა აღარავის სჯერა და მაინც პირველ რიგში თქვენი ცხოვრების ულამაზესი ხანა - ბავშვობის სამყარო მოვიგონოთ... მოვიგონოთ თქვენი მშობლები... თქვენი - მამა ბატონი დიმიტრი და სხვანიც...

- სამწუხაროდ, მალე გაფრინდა მამა-შვილობის ულამაზესი წლები, თუმცა მისი ძლიერი სულის მართალი ნაბიჯები, გულუბრყვილო და ცამდე პატიოსანი პიროვნების ცოცხლად შემონახული ნათელი არ ფერ-მკრთალდება და სულიერ საგზლად მიჰყვება მთელს ჩემს ცხოვრებას...

მე-17 თუ მე-18 საუკუნეში ვინმე ბენა ჩოლოყაშვილი, მიზეზთა და მიზეზთა გამო, თავისიანებს გამოცალკევებია და დღევანდელი დედოფლისწყაროს რაიონის ტერიტორიაზე გადასახლებულა. გასულა დრო-ჟამი და მისი შთამომავლები ჯერ ბენაშვილებად, ხოლო შემდეგ ბენაშვილებად წოდებულან. დიმიტრი ბენაშვილის მამა - გიორგი ერთი კეთილშობილი კახელი გლეხი, ქიზიყში განთქმული მომღერალი, საოცრად წარმოსადეგი და ლამაზი კაცი ყოფილა... მისი ნათელი ცისფერი თვალები შვილსა და შვილიშვილს გამოჰყოლია.

გიორგი და ნინო ბენაშვილები დიმიტრის გარდა კიდევ სამ შვილს ზრდიდნენ. ცხოვრობდნენ სოფელ მაჩხაანში, წმინდა გიორგის ეკლესიის მახლობლად. ახლა მათ ნაფუძვარზე 70-იან წლებში დიმიტრი ბენაშვილის მიერ აშენებული მშვენიერი სახლი იწონებს თავს.

თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტამდე, სადაც მან ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები, ბოდბისხევის წმინდა ნინოს სასწავლებელი იყო, შემდეგ უნივერსიტეტის ასპირანტურა... საიდანაც იგი „ტროცკისტი ბენაშვილის ანტიმარქსისტული ლაყბობის“ „განაჩენით“ 1937 წელს მე-3 კურსიდან გარიცხეს. ოცი წლისამ პირველი წიგნი გამოსცა, 23 წლისა უკვე მწერალთა კავშირის წევრია, რაც იმ დროისათვის საკმაოდ იშვიათი შემთხვევა იყო - აღიარება და პოპულარობა მამამ ახალგაზრდობაშივე მოიპოვა. იგი საზოგადოებისათვის დიდი ავტორიტეტი გახლდათ... ღრმა, საინტერესო, პირუთვნელი და ახალი თვალთახედვით აღბეჭდილი ლიტერატორი გვერდით ედგა ისეთ კოლოსებს, როგორებიც იყვნენ - გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე... დიდ მწერლებს, ალბათ, ჭეშმარიტად დიდი და მართალი შემფასებელიც სჭირდებოდა...

მძიმე, უსასტიკეს დროს მოუწია მამას ცხოვრება. ბევრჯერ გადაურჩა რეპრესიებს, ხელისუფალთაგან მრავალი საყვედური თუ გაფრთხილება ჰქონდა მიღებული დღეს კლასიკოსებად აღიარებულ მწერალთა ობიექტური შეფასებისთვის. წიგნიერ შთამომავლობას ლეგენდასავით შემორჩა დიმიტრი ბენაშვილის ის გამოსვლა მწერალთა კავშირის სასახლეში, როდესაც მან ხალხით გადაჭედული დარბაზისა და პრეზიდიუმში მსხდომ ცეკა-ს მდივნების თანდასწრებით კატეგორიულად მოითხოვა კომუნისტთაგან „ვინრო ნაციონალისტად“ შერაცხული ვაჟა-ფშაველას გადაკარგული სურათის კვლავ დარბაზში დაბრუნება... მამის ეს რაინდული გაბედ-

ულემა, თურმე, დიდხანს გაჰყოლია თბილისს სალაპარაკოდ. დამწუხრებულს, ხშირად უთქვამს, სრულიად შემთხვევით გადავურჩი სისხლიან რეპრესიებსო.. უსიამოვნებებს შინაგანი, ამალღებული სიმშვიდით ხვდებოდა, არ უყვარდა მოვლენათა უსაშველო დრამატიზება.

მამა უმაღლესი რანგის კრიტიკოსი იყო, იყო ნამდვილი მწერალი და შემოქმედი და არა ლიტერატურის უბრალო არქივარიუსი. ულამაზესი და ღრმა აზროვნებით გამორჩეულ ნაშრომებს ქმნიდა... ბრწყინვალე ორატორს, ბუნებრივია, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, ფილოსოფიასა და ისტორიაზე საუბრები უყვარდა. მახსოვს ჩვენს სახლში გამართული ძალზედ ცხარე და პრინციპული დისკუსიები, რომლის მონაწილეებიც იყვნენ - პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, პოლიკარპე კაკაბაძე, ლევან გოთუა, ალექსანდრე ქუთათელი, პეტრე ბახტურიძე, გიორგი შატბერაშვილი, ვიქტორ გაბესკირია და სხვები. ეს იყო ნამდვილი ლიტერატურული სალონი, რომელმაც წარუშლელი კვალი დაამჩნია ჩემს ცხოვრებას.

მამაჩემი საფუძვლიანად იცნობდა ანტიკურ ლიტერატურას, დანტეს, შექსპირს, გოეთეს, რუსულ კლასიკას... ფლობდა გერმანულ ენას და საერთოდ გერმანია წარმოადგენდა მისთვის უდიდესი შთაგონების წყაროს. მამის ინიციატივითა და დაჟინებული თხოვნით გახდა ჩემი და - ნელი ბენაშვილი გერმანისტი. როგორც ჩანს, გერმანიისადმი ეს სიყვარული მთელ ოჯახს გადმოგვედო - ჩემმა უმცროსმა ვაჟმა - გიორგიმ გერმანელი გოგონა - მენდი როტი შეიყვარა და ცოლად შეირთო...

და კიდევ რამდენიმე შტრიხი შორეული წარსულიდან... 24 წლის დიმიტრი ბენაშვილი ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტზე, ულამაზეს ვერა ჩოფიკაშვილზე დაქორწინებულა. ახალგაზრდები ვერაზე, ბელინსკის ქუჩაზე, ნაქირავებ, უფანჯრო ოთახში დაბინავებულან. დიდი სიყვარული ავინყებდა მათ გაჭირვებას და მწუხარე ყოფას. უსათნოესი ბუნების ქალს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ არსად უმუშავია. დაჰყოლია რა ქმრის ნებას, დიასახლისის დიდი მოვალეობა სიცოცხლის ბოლომდე ღირსეულად აღუსრულებია.

მეუღლისადმი განსაკუთრებულმა სიყვარულმა დიმიტრი ბენაშვილს ხევიც შეაყვარა. მოხვევებთან გატარებულმა რომანტიკულმა წლებმა გადააწყვეტინა ალექსანდრე ყაზბეგზე მონოგრაფიის შექმნა. საგულისხმოა, რომ ეს იყო პირველი მონოგრაფია ხევის კლასიკოსზე და მას ავტორი, იქნებ სამართლიანადაც, თავის საუკეთესო მეცნიერულ ქმნილებად მიიჩნევდა...

70 წელს მიღწეულ მამას თანდათანობით მძიმე სენმა დარია ხელი, ეს ათლეტური აღნაგობის, გონებანათელი და ულამაზესი კაცი, თანდათანობით გატეხა და ბოლოს დაიმორჩილა კიდევაც... ნავიდა იგი ამ ქვეყნიდან წყნარად და უდრტივინველად და დატოვა რალაც მოუნებელი სევდა და ნალველი... მამის გარდაცვალების შემდეგ დედამ, ბუნებრივია, თითქოს ცხოვრების ხალისი დაკარგა, უფრო ფიქრიანი და მოწყენილი გახდა, თუმცა, ცდილობდა ჩვენ არაფერი გვეგრძნო, მით უმეტეს, რომ მისი ოთხი შვილიშვილი - დიმა, გოგა, ლელა და თათია (ბახტურიძეები) სითბოსა და სიყვარულს არ აკლებდნენ მათთვის სათაყვანებელ ბებოს.

მამამ შთამომავლობას დაუტოვა საკმაოდ მდიდარი და მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა. დარწმუნებული ვარ, რომ წარუშლელი იქნება მისი ღვაწლი ვაჟალოგიაში; ბრწყინვალე მოკვლევები უძღვნა მან რუსთაველის, ყაზბეგის, გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, გიორგი ლეონიძის, სერგო კლდიაშვილის და სხვათა და სხვათა კლასიკურ შემოქმედებას.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები, ანუ სიკვდილისათვის მზადების ყაში, თავისი პირადი არქივის მოწესრიგებას მოანდომა.. არავის ანდობდა ამ მისთვის განსაკუთრებულად „საკრალურ“ საქმეს... იმ ჩანაწერებს, რომელთაც მხოლოდ მისი არყოფნის შემდეგ მოეთხროთ მისი ავტორის სულიერი და ფიზიკური ცხოვრების ისტორია.

გავეცანი მამის არქივს და მიხვდი, რატომ მიმალავდა, რატომ არ სურდა, მის სიცოცხლეში გამეგონა სულის ის შემზარავი ქვითინი, რაც მისი ჩანაწერებიდან ისმოდა...

შვილი ვერ იქნება ობიექტური მსაჯული ამ მემუარების ჭეშმარიტი ღირებულებისა.

სხვა რამ მინდა ვთქვა - კერძოდ, ის, რომ ყოველი ფურცელი ამ მდიდარი სულიერი მემკვიდრეობისა, გაჯერებულია ჩვენი ქვეყნის უახლესი 70-იანი წლების ისტორიის შემზარავი სიძულვილით.

მასში ბევრი რამ სრულიად ახლებურად განგაცდევინებს ცხოვრებაგამწარებული ადამიანების უსაზღვრო ტრაგედიას... დაკარგული სიჭაბუკის სიმწარესა და სულშერყენილი თაობის ოხვრასა თუ ვაებას.

ვიცი, რომ დღეს სენტიმენტებისა აღარავის სჯერა... და მაინც, ეტყობა ზამთრისპირის სევდასა და მოწყენილობას აჰყვა მამის მოგონებებით აღძრული სათქმელი.

აი აქ, ამ სივრცესა და ატმოსფეროში აღიზარდა ჩემი სული, აქ ჩამოყალიბდა იგი ლიტერატორად და სამყაროს სულიერ ფასეულობათა უსაზღვრო თაყვანისმცემლად... ეს იყო ჩემი ზღაპრული სავანე, დღეს ტკბილ სიზმრებად რომ მეცხადებიან და უნეტარესი სევდით მავსებენ...

- გვიამბოთ თქვენს ინსტიტუტზე, პრობლემებზე, მიღწევებზე, იმ ატმოსფეროზე, რომელიც თქვენს ირგვლივ სუფევს.

- სიამოვნებით მინდა ვუპასუხო თქვენს ამ შეკითხვას.

ასეთი ხმამაღალი სათქმელი თუ აქვს თანამედროვე მწერლობას?

- ვაჟას ამ კატეგორიულ ნათქვამს ჭეშმარიტად ისტორიული ღირებულება აქვს... ამ კონცეპტუალურ ფრაზაში მწერლობის დაკნინებაზე კი არ არის საუბარი, არამედ მის ფუნქციურ ბუნებაზე... ვერავინ უარყოფს, რომ მწერლობას ნამდვილად ჰქონდა ეს უმძიმესი და უდიადესი ტვირთი იმ ისტორიულ ეპოქებში, როდესაც ქვეყანა ცარისტული თუ კომუნისტური იმპერიების კლანჭებში იყო გამომწყვდეული... ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვაჟას მედიტაცია ქართულ ენასა და ზოგადად ქართულ კულტურასაც მოიაზრებს... ქართველმა მწერალმა ვაჟას შემდეგაც დიდხანს ატარა ეს საკრალური ტვირთი - ატარა ღირსეულად და დაუღალავად... ამ დიდი ეროვნული მისიის აღსრულებით მიიღია XX საუკუნე...

თანამედროვე ეპოქა, ანუ დღევანდელი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ქაოსი, სრულიად გაურკვეველი ბუნდოვანებით მოსავს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ანწყოსა თუ სამომავლო იერარქიებსა თუ უბრალოდ პერსპექტივებს... სამწუხაროდ, მწერლის ფუნქცია ისე გამოკვეთილად აღარ მოსჩანს... დღევანდელი მწერალი, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ვფიქრობ, ვეღარ გაიმეორებს (თუ აღარ გაამეორებინებენ!), ვაჟას გენიალურ სიტყვებს...

თუ უფრო „მიწიერნი“ ვიქნებით, ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლოს და ბოლოს, მწერლობა ისეთივე პროფესიაა, როგორც ნებისმიერი სხვა პროფესიები... მხოლოდ პირობითად შეგვიძლია განვაცალკევოთ „მაღალი“ და „დაბალი“ პროფესიები, თუმც საბოლოოდ, თითოეული მათგანი ხომ ადამიანური მოღვაწეობის ანუ სოციალური ფუნქციონირების ფორმაა.

ვამბობ ამ ტრივიალურ სიტყვებს და ჩემსავე თავში ერთგვარ წინააღმდეგობრიობას განვიცდი... უმწვავესი და ცრემლიანი გაორების გრძნობა მეუფლება...

უძნელესია დასთმო და დასავინწყებლად განირო ის ნეტარი და ღვთაებრივი განწყობილებები, რითაც ჩვენ ვცოცხლობდით და ვსუნთქავდით... ცნობილი ლიტერატორის ოჯახში აღვიზარდე და, შეიძლება ითქვას, ბავშვობიდანვე განებივრებული ვიყავი დიდ მწერლებთან და მათ მშვენიერ ოჯახებთან ურთიერთობით... ამგვარი პატივი და ბედნიერება ბევრს არ რგებია წილად. მიუხედავად მათთან სრული „გამინაურებისა“, დღემდე მომყვება კრძალვისა და პიეტეტის განცდა... ეს თაყვანისცემა ისეთ მძაფრ სიყვარულად ჩამოყალიბდა ჩემში, რომ წარსულის აუგად ხსენებას ვერაფრით ვეგუები... მწერლის, ხელოვანის, ლიტერატორის, ზოგადად ინტელექტუალის ცხოვრება და მოღვაწეობა, რიგით პროფესიათა გვერდით მოსახსენიებლად არა და არ მემეტება... თუმც, რას იზამ, ჩვენს საერთო კართან დაჩოქილმა აქლემმა, სიღარიბის გარდა, ის შემზარავი კატაკლიზმებიც გამოიწვია, რომლებიც არა მხოლოდ გარე ხდომილებათა რიგს განეკუთვნება, არამედ ადამიანის შინაგან სამყაროსაც მოიცავს... კარგად მესმის, რომ საოცრად ძნელია იმ მითოლოგიური საბურველიდან გამოსვლა, რასაც წარსული ჰქვია... მაგრამ, ისიც ხომ უნდა ვინამოთ, რომ სიცოცხლე, ინდივიდუალურიცა და საზოგადოებრივიც, მუდმივი განახლების აუცილებლობითაა განპირობებული და მას ვერაფერი შეაჩერებს... როდესაც ცხოვრებას „ჰო“-ს ვუბნებით, ეს იმას კი არ ნიშნავს; რომ მონურად ვემორჩილებით მას, არამედ და უპირველესად იმას, რომ მზადა ვართ სიახლის მისაღებად... ეს რთული და არაერთმნიშვნელოვანი პროცესია და არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ დიდ სიმამაცესაც მოითხოვს ყოველი ჩვენთაგანისაგან...

„სამამაცო ზნენი“ ქართველს, ალბათ, არავისგან ესწავლება... და ამიტომაც, საკუთარი ისტორიული მესხიერებიდან ჭკუა-გონების გამოხმობა, ჩვენი წარსულის აგრერიგად მოქმდავლებულ მგმობელთ, არა და არ აწყენდა... პირიქით კია... წარსულის გმობით სახვალთო ფიქრი ვერაფრით ვერ აყვავდება...

ყოველი დროის დიდი საფიქრალი, სატკივარი თუ საზრუნავი იყო და დარჩება ნიადაგ ახლობელი და უცნობი, საამო და შემაძრუნუნებელი „თანამედროვეობა“... „თანამედროვეობა ყოველთვის გარდამავალი, მოძრავი, გაუთვალისწინებელი ნახევარი ხელოვნებისა, რომლის მეორე ნახევარს შეადგენდა და შეადგენს მარადიული და შეურყეველი“ - შარლ ბოდლერის ამ პროვიდენციალური რეფლექსიით დავამთავრებ ჩემს საუბარს...

- ბატონო გურამ, დღეს კომერციალიზაციის ბუმის ყამს ახალგაზრდების „უცერემონიო“ გამოხდომებმა იმძლავრა... თითქოს უფერულდება სულიერ ფასეულობათა ის სივრცე, რომლის წინაშეც ჩვენი ერი მუდამ მოწინებით სრიადა თავს... რას იტყვით ამის თაობაზე?

- თქვენ გინდათ თქვათ, რომ ეს ყოველივე განუკითხაობის შედეგია? შესაძლოა, ეს თქვენი ფიქრით, სიმართლესაც უახლოვდებოდეს... მაგრამ რა ვქნათ, რა მოვიმოქმედოთ, წარსულის ამგვარ უაპელაციო ინტერპრეტაციათა, ანუ „უმანკო

ინსინუაციათა“ აღმოსაფხვრელად.. განა ღირს აღდგენა ერთ დროს პოპულარული „ლიტერატურული გასამართლებებისა“?

თუ მაინც მკითხველს დაუწყებთ ძიებას, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს და ამგვარი ოდიოზური „შეცოდებანი“ განსჯილ-გაანალიზებული უნდა იქნეს, უპირველეს ყოვლისა, როგორც მხოლოდ ლიტერატურული ფაქტი და ეს უნდა გააკეთოს, ანუ შეაფასოს, ისევე ჭეშმარიტმა მწერალმა და ისევე მაღალი რანგის ლიტერატორმა... და, ეს ყველაფერი უნდა წარიმართოს რაფინირებული ლიტერატურული პოზიციებიდან... უპირველესად, ტექსტის ლიტერატურული ღირსებების გათვალისწინებით... წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა ერთი რომელიმე „ვარსკვლავთბიჭუნას“ უდღეურ ტექსტს ისეთი დელიკატური ფონი შევუქმნათ, რომ წამიერად მაინც, კულტურის ფაქტად ვაქციოთ საპნის ბრჭყვიალა ბუმბად შობილი სიცარიელე... აქ, ამგვარ პიკანტურ შემთხვევაში, ფსევდომწერალი მომგებიან პოზიციაშია, უფასო რეკლამების გამოც...

თქვენ ლაშა ბულაძე ახსენეთ.. უდავოდ ნიჭიერი და უფრო, ხვალისდელი, ნამდვილი წარმატებებისაკენ „მიმავალი“ შემოქმედი... ჩემთვის საოცრალ სათნო და კეთილდღეობა ახალგაზრდა... „ექსტრავაგანტური“ რეფლექსებითა და რაღაც დესტრუქციული ხილვებით მხოლოდ ის არ ორიგინალობს... თუ თქვენ ზაზა ბურჭულაძის „სიმსონებს“ და „წერილი დედას“ წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ გაცილებით კიდევ უფრო ეპატაჟურ ტექსტებთან გვაქვს საქმე...

ერთი ასეთივე „შეტევა“ ბურჭულაძის ნაწერებზე და ისიც, მისდა საოცნებოდ, ჩვენი მწერლობის ახალ ღირსსახსოვარ ფაქტად გამოცხადდება...

მინდა ვიფიქრო და ვირწმუნო, რომ ეს ყველაფერი ახალგაზრდული ბუნებისთვის ჩვეული თავმოწონობაა, ღირებულებებთან პაექრობაა, დროს და სივრცესთან აზარტული თამაშია, თვითკმაყოფილებით „ტკობაა“.. და საბოლოოდ თვითდამკვიდრებას უფრო ემსახურება, ვიდრე თვითგამოხატვას...

ვნახოთ, სამომავლოდ როგორ გამოავლენენ თავს ეს და სხვა კალამთან კარგა გვარიანად შეთამამებული მწერლები...

იყო დრო, როცა ფუტურისტების ტექსტებიცა და საქციელიც უკლებლივ ყველას აწვოთებდა და განარისხებდა... მიუხედავად ამისა, ისტორიაში მათი ნამოქმედარი ლიტერატურული ცხოვრების საინტერესო ფურცლად ჩაინერა... რამდენად სწორია თანამედროვე „მოდერნის“ წარსულთან ანალოგია, არ ვიცი, თუმც, იმის თქმას კი „გავბედავ“, რომ კალამთან ლამენათევი და სიტყვასთან დამეგობრების მოსურნე, ჩემთვის უკვე დასაფასებელი და ძალზედ მნიშვნელოვანია.. მწერლობის უმძიმეს ჭაპანთან თუნდაც მიახლოვებული ახალგაზრდა, დღეს, ამ ერთ დიდ სავაჭრო დუქნად ქცეულ სინამდვილეში რაღაც რომანტიკული სულის განსახიერებას წარმოადგენს ჩემთვის და, ალბათ, არა მხოლოდ ჩემთვის...

ეს ამაღლებული კეთილგანწყობა სულაც არ არის იმის გარანტია, რომ ამგვარმა „ბედის მაძიებლებმა“ თავის კანონიერი ადგილი დაიმკვიდრონ ჭეშმარიტ ლიტერატურაში... არა, რა თქმა უნდა... მრავალნი და მრავალნი მოქცეულან უწარმტაცესი ტალღის ქიმზე, მაგრამ დანყნარებულა რა ღელვა, მათგან მხოლოდ უსახური ქაფილა დარჩენილა... ამას, რა თქმა უნდა, არ ვუსურვებ არავის, მითუმეტეს, ჩემს მიერ აქ წარმოდგენილ ახალგაზრდა მწერლებს... ღმერთმა ქნას, რომ მათი სახით, ჩვენს უმდიდრეს სულიერ კულტურას, მოვლენოდეს წარსულით მძლავრად იმპულსირებული და სიახლეთა უღრან ტყეებში გაბედულად „მოხეტიალე“ ხელოვანნი სიტყვისა და აზროვნებისა...

- ბატონო გურამ, ლიტერატურასთან შეთამამებული ახალგაზრდები (და არა მარტო ახალგაზრდები) ილია ჭავჭავაძესა თუ კონსტანტინე გამსახურდიას ენას ინუნებენ და აღმერთებენ ბულვარულ ენობრივ ფსევდოსტილს, რას ფიქრობთ ამაზე?

- ილიას ენის დაუნება მათ სრულ უგემოვნებაზე მეტყველებს, უფრო ზუსტად მათ უმეცრეობაზე... ნუ დაგვაზინყდება და კარგად გვახსოვდეს, რომ ილია თვითონ იყო ქართული ენის უდიდესი რეფორმატორი... მისი ღვთაებრივი კალმის ქვეშ ლალად ამოისუნთქა, ფრთები გაშალა და გაინავარდა ქართულმა ენამ.. დააღწია რა თავი ძველი „მაღალი შტილის“ მძიმე არტახებს... ილიას ენას ქართველი ვერ დაინუნებს, რადგან სწორედ და, მხოლოდ იგია გზა ჩვენი ეროვნული ცნობიერებისაკენ, ჩვენი წარსულისა და მომავლისაკენ... ყველას ვურჩევდი, უფრო ხშირად და დაგემოვნებით იკითხონ ილია, თუ სურთ, უფრო ძარღვიანი გახადონ მათი, ხშირ შემთხვევაში, განყალბებული და უსახური ქართული...

ილიას დადინჯებული კითხვა კიდევ იმიტომაა ღრმა მნიშვნელობისა, რომ მასში ძალუმად განფენილ უმაღლეს პოლემიკურ ხელოვნებას შეითვისებენ და ვინძლო, ესეც გამოადგეთ ე. წ. ძველი თაობის ლიტერატორებთან დასაპირისპირებლად.. ილიას გენიალურ ირონიასაც თუ ჩასწვდებიან, ალღოს აუღებენ, ხოლო მისი გამანადგურებელი სატირის თავსა და ბოლოს „დაიგემოვნებენ“, დარწმუნებული ვარ, სულ სხვა სიმაღლისა და ღირსებებისა იქნება მათივე ნაღვანი... ისინი იგრძნობენ მათივე დასახმარებლად „მოვლინებულ“ ილიას დიდ შემწეობასა და ჭეშმარიტ „პაპობას“.. და პაპის ნაჭამი ტყემალი შთამომავლობას კბილსა სჭრის, იმავე პაპის კეთილნი და კოლოსალური საქმენი გულს დაუამებენ და მადლით ალაგსებენ ახალგაზრდებს... გულწრფელად ვურჩევდი, ამ განუზომელ სიამეს ნუ მოაკლებენ საკუთარ თავს...

რაც შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას, შესაძლოა, ესეც გემოვნების საკითხი იყოს... საგულისხმო ის არის, რომ დღეს ჩვენს კლასიკურ მემკვიდრეობაშიც ხდება, ერთგვარი ადგილმონაცვლეობა... რა უცნაურიც არ უნდა იყოს ზოგიერთისთვის, მწერალს მკითხველის გარდა „დროც“ კითხულობს - დრო სასტიკი და უცდომელია... ვან გოგი ვერაფრით გაიცნობიერა თანადროული საზოგადოების თვალთახედვამ, მაგრამ გენიოსად აღიარა მომავალმა... იგივე შეიძლება ითქვას ბარათაშვილზე... ვის ესმოდა მაშინ „ჩივილი ყრმისა“?.. ან სხვა უნაპირო „ამოხვრანი“ ბედისაგან ტანჯული „ყარიბისა“... რა თქმა უნდა, თითქმის არავის...

კონსტანტინე გამსახურდიას კლასიკოსის პედესტალიდან ჩამოქვეითება, თუ ასეთი მკრეხელობა საერთოდ ხდება, ალბათ, არ უნდა იყოს გამსახურდიების დიდ ოჯახთან დაკავშირებული პოლიტიკური კონიუნქტურის სავალალო შედეგი... სხვა მხრივ, თუ მაგანთა „გემოვნებას“ იგი აღარ აკმაყოფილებს, ეს მათი პირადი პრობლემაა...

საერთოდ, კი დაბეჯითებით უნდა ითქვას ერთი რამ, თუ დროთა მდინარე-ბაში ვინმე ჩრდილში მოექცა, სამაგიეროდ, ვილაცას მიეგო ის კანონიერი პატივი, რასაც, როგორც ჩანს, იმსახურებდა და დრომ, ამ გენიალურმა „დეგუსტატორმა“, მაინც მიაგო... ეს ყოველივე, ობიექტური და უნივერსალური პროცესია და ამას კი არ უნდა შევეგუოთ, არამედ, ლოგიკურ ინტენციად უნდა მივიღოთ.

ვფიქრობ და, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, ვინმე ნებისმიერის კერპად ქცევა საზოგადოების უკულტურობის უპირველესი ნიშანია... დამღუპველი და დამანგრეველი თავისუფალი სულის არსებობისა და ფუნქციონირებისა...

თუ ბულვარულ პროზას მივცემ შეფასებას, ვიტყვი, რომ მას კლასიკური მემკვიდრეობის ოპოზიციად ან ალტერნატივად ვერ განვიხილავ... მას სახელწოდებაც ისეთი აქვს, რომ თვითონვე „ლაღადებს“ საკუთარ თავზე...

ჩვენში, სულ ახლახან, დიდი გასაქანი ჰქონდა და კოლოსალური პატივით სარგებლობდა ალეგორიული მწერლობა, მინიშნებისა და მოიარებით თქმის „პოეტიკა“.. ამ ესთეტიკით „მომუშავე“ სიტყვის ხელოვანთა, ანუ „ფარულ პატრიოტთა“ დრომაც გადაიგრიალა... იდეოლოგიის რეჟიმში მოქმედმა ამ დისკურსმაც, „ვოჟ-ების“ მოხსნის შემდეგ ხიბლი დაკარგა და უაზრო „რაინდობადლა“ იქცა. ბუნებრივია, ახლო წარსულის ამ „რომანტიკას“ ვეღარ გამოვეტირებით... ამ მსოფლმხედველობრივ ტრადიციათა ურთულეს პროცესს, იმედია, ლიტერატურის ისტორიკ დაარეგულირებს და ყოველივეს თავის ნამდვილ სახელს დაარქმევს... ეს მომავლის საქმეა...

- იქნებ თქვენს შემოქმედებასა და მომავლის გეგმებზე გვესაუბროთ?

- სულ ალახანს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა ჩემი ახალი წიგნი „ლიტერატურული მედიტაციები“, მასში თავმოყრილია უკანასკნელი წლების კრიტიკული თუ ესეისტური წერილები, აგრეთვე საკმაოდ ვრცელი „არაბესკები“, ანუ ჩემი ფიქრთა და აზრთა ჩანახატები...

ვმუშაობ ქართული რომანტიზმის იმ ფსიქო-ფილოსოფიურ პარადიგმათა გააზრებასა და წარმოჩენაზე, რომელნიც სრულიად დაგვარწმუნებენ მის ორგანიულ სიახლოვეს ევროპულ რომანტიზმთან...

მაღე დავბეჭდავ ჩემს მოსაზრებებს უახლეს ქართულ პროზასა და პოეზიაზე... ჯერ მხოლოდ ქმნის პროცესშია მედიტაციური განსჯა-ანალიზი დავით გურამიშვილის შესახებ... ვფიქრობ და ვეჭიდეები აკაკის ურთულესი სისადავით აღბეჭდილ პოეზიას...

ასეთი ინტელექტუალური „მარშრუტებით“ მიიზღაზნება ჩემი შემოქმედება. საოცრად დამღლეიცა და საოცარი კმაყოფილების მომგვრელიც ერთსა და იმავე დროს...

საზოგადოებრივ-პოლიტიკური
და სალიტერატურო სამსახურო
ქურნალი



შემოქმედებითი პროექტის
ხელმძღვანელი
ჯანსუღ ჩარკვიანი

გამომცემელი
თაგარ ჩრკვიანი
მხატვარ-დიზაინერი
ნანა გერასიმოვა
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მიზა მჭედლიშვილი
კორექტორი
ცისანა სიჭინავა

სარედაქციო საბჭო:
პასუხისმგებელი მდივანი
გულნარა ბახტაძე,
ვასილ გვეტაძე,
ციალა არდაშელია,
დინარა ნოღია,
ნუნუ კუჩერიშვილი,
დავით სალარიძე,
ზურაბ კვანტრიშვილი,
თაღო ნინიძე,
ელდარ შენგელაია,
ზურაბ წერეთელი,
თამაზ ჭილაძე.

ქურნალი აიწყო, დაკავალონდა და
დაიბეჭდა საგამომცემლო-პოლიგრაფიულ
ცენტრ "სარში"
მისამართი: თბილისი გლდვილის 57

9274

